# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 11 ოქტომბერი. 2023 წ. №114 (9646) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი




## დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა ახლო აღმოსავლეთში!!!

იხ. 7 გვ.

**ბენიამინ ნეთანიაჰუ:**



**ეს არის ომი ჩვენი არსებობის დასაცავად, ომი, რომელშიც ჩვენ გავიმარჯვებთ!**

— — — — — — — — — — — —

**...ღაზაში საჰაერო თავდასხმები მხოლოდ დასაწყისია**

**„ჰამასის" სპიკერი აბუ ობეიდა:**



**ჩვენი ხალხისთვის ნებისმიერ დამიზნებას მოჰყვება მძევლების სიკვდილით დასჯა, რომელიც გადაიცემა ვიდეო და აუდიო-საშუალებით. ჩვენ ვწუხვართ ამ გადაწყვეტილების გამო.**

### მოსკოვი პალესტინის პრეზიდენტის ვიზიტისთვის ემზადება

**„პალესტინა რეგულარულ კონტაქტებს ინარჩუნებს რუსულ მხარესთან და ამჟამად ემზადება პალესტინის პრეზიდენტის, მაჰმუდ აბასის მოსკოვში ვიზიტისთვის. ჩვენ ვაგრძელებთ ყოველდღიურ კონტაქტებს მოსკოვთან. ახლა მიმდინარეობს მზადება პრეზიდენტ აბასის მოსკოვში ვიზიტისთვის",** — განაცხადა რუსეთის ფედერაციაში პალესტინის ელჩმა, აბდელ ჰაფიზ ნოფალმა. როგორც მედია წერს, აბასის ბოლო ვიზიტი რუსეთში 2021 წლის ნოემბერში იყო.

**ოფიციალური ვიზიტი**



## ვიქტორ ორბანი საქართველოშია

**საქართველოს ოფიციალური ვიზიტით უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი ეწვია. უნგრეთის პრემიერი თბილისში მეუღლესთან, ანიკო ლევაისთან ერთად ჩამოვიდა.**

მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში უნგრეთის პრემიერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი, უნგრეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თამარ ლილუაშვილი და საქართველოში უნგრეთის ელჩი ანა მარია შიკო დახვდნენ. ვიქტორ ორბანი საქართველოს დელეგაციასთან ერთად ეწვია.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ვიქტორ ორბანისა და ირაკლი ღარიბაშვილის პირისპირ შეხვედრა. შედგება საქართველო-უნგრეთის მთავრობათაშორისი კომისიის სხდომა, რომლის შემდეგაც მემორანდუმებზე ხელმოწერის ცერემონია გაიმართება. საქართველოსა და უნგრეთის პრემიერ-მინისტრები მედიისთვის ერთობლივ განცხადებებს გააკეთებენ.

## კორუფციის კონტროლით საქართველო უსწრებს ევროკავშირისა და ნატოს წევრ 25 ქვეყანას ④

## ქართულ-აფხაზური წალკოტი რუსებსა და სომხებს რჩებათ!

### აფხაზები პირდაპირ ამბობენ:

## „სული მივყიდეთ რუს ეშმაკს, რომელიც ეს-ესაა, ბოლოს მოგვიღებს" ⑤

## ერის მოაზროვნე ნაწილი კიდევ ერთხელ 9-წლიან სისხლიან დიქტატურას არ დაუშვებს!



③



**იოსებ ჭუმბურიძე:**

## განა ეს საკითხავია?!

**ღია წერილი** ⑥

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბატონ გიორგი ამილახვარს**

## პრემიერი: საქართველოსა და საამიროებს შორის ყოვლისმომცველი ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება მტკიცე საფუძველს უყრის ორ ქვეყანას შორის უფრო მყარი და კონსოლიდირებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას



# საქართველოსა და არაბთა გაერთიანებული საამიროების ლიდერებმა ეკონომიკური ურთიერთობა განამტკიცეს!

**თქვენო უმაღლესობავ, მოგესალმებით. მოხარული ვარ, რომ ხელი მოეწერება საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის ყოვლისმომცველი ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას („CEPA"),** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის ყოვლისმომცველი ეკონომიკური პარტნიორობის შესახებ შეთანხმების („CEPA") ხელმოწერის ცერემონიაზე განაცხადა.

**„ეს შეთანხმება მტკიცე საფუძველს უყრის ჩვენს ორ ქვეყანას შორის უფრო მყარი და კონსოლიდირებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას.**

**არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან, როგორც ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოსთან, ურთიერთობათა განმტკიცება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. არაბთა გაერთიანებული საამიროები ყოველთვის იდგა ინოვაციისა და პროგრესის სათავეებთან, რაც მომავლის იმედისა და ოპტიმიზმის მნიშვნელოვანი საწინდარია.**

**მე მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტს, მის უმაღლესობას – შეიხ მოჰამედ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანს იმ ფასდაუდებელი წვლილისთვის, რაც მან შეიტანა ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარებაში.**

**მე ასევე მინდა მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, თქვენო უმაღლესობავ, ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის.**

**დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ეს ახალი ეტაპი, ხელს შეუწყობს ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებასა და გამარტივებას„.**

**არაბთა გაერთიანებული საამიროების ვიცე-პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა და დუბაის საამიროს მმართველმა – შეიხ მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაქტუმმა აღნიშნა, რომ გაფორმებული შეთანხმება ახალი საეტაპო მოვლენა იქნება არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და საქართველოს ურთიერთობებში.**

**„მოგესალმებით, თქვენო აღმატებულებავ, საქართველოს პრემიერ-მინისტრო, ბატონო ირაკლი ღარიბაშვილო!**

**მიხარია, რომ დღეს ხელი ეწერება შეთანხმებას ყოვლისმომცველი ეკონომიკური პარტნიორობის შესახებ, რომელიც ახალი საეტაპო მოვლენა იქნება არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და საქართველოს ურთიერთობებში.**

**მისი აღმატებულება შეიხ მოჰამედ ბინ ზაიედ ალ-ნაჰიანის ლიდერობით არაბთა გაერთიანებული საამიროები ყოველთვის იღვწის ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაძლიერებისა და მდგრადი განვითარებისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი შეთანხმება სამომავლოდ ბევრ შესაძლებლობას მისცემს ჩვენს ქვეყნებს. დიდი მადლობა!"**

* * *

ცერემონიაში, რომელიც არაბთა გაერთიანებულ საამიროებში გაიმართა, საქართველოსა და არაბთა გაერთიანებული საამიროების პრემიერ-მინისტრებმა მონაწილეობა ვირტუალურად მიიღეს.

**საქართველოსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს შორის ყოვლისმომცველი ეკონომიკური პარტნიორობის შესახებ შეთანხმებას („CEPA") ხელი საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა და საგარეო ვაჭრობის საკითხებში არაბთა გაერთიანებული საამიროების სახელმწიფო მინისტრმა – თანი ბინ აჰმედ ალ ზეიუდმა მოაწერეს.**

# პირველი „ჯარის ქალაქი" დასრულებულია, ბედნიერი ვარ, რომ კიდევ ერთი ჩვენ მიერ დაწყებული საქმე და პროექტი არის დასრულებული

## პროექტი მალე გაგრძელდება!

**სამხედროების სამსახური არის ფასდაუდებელი და ჩვენ ყველანი, პირველ რიგში მთავრობა, ხელისუფლება არის ვალდებული, რომ მაქსიმუმი გააკეთოს თქვენთვის, რომ დაფასდეს თქვენი სამსახური, თავდადება, გმირობა ჩვენი ქვეყნის წინაშე,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამხედრო მოსამსახურეებისთვის „ჯარის ქალაქში" ბინების გადაცემის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

**„მოგესალმებით, ჩემო ძვირფასებო, მივესალმები ჩვენს საამაყო ჯარისკაცებს, ოჯახის წევრებს, ბავშვებს, ყველას მოგესალმებით დიდი პატივისცემით, ბატონო გენერლებო, ოფიცრებო. მე მინდა, ყველას მოგილოცოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტის დასრულება. „ჯარის ქალაქი" დასრულებულია და ჩვენ დღეს საზეიმოდ გადავცემთ ჩვენს საამაყო ჯარისკაცებს და მათ ოჯახებს ამ ლამაზ ბინებს.**

**უზომოდ გახარებული და ბედნიერი ვარ, რომ კიდევ ერთი ჩვენ მიერ დაწყებული საქმე და პროექტი არის დასრულებული. იცით, რომ ჩემი მინისტრობის დროს მე გამოვაცხადე, რომ ჯარს ყველაფერი საუკეთესო ეკუთვნის და დავიწყეთ ეტაპობრივად ყველა საკითხის მოგვარება და მოწესრიგება, იქნებოდა ეს ბაზების რეაბილიტაცია, აღჭურვილობის შეძენა, ნებისმიერი საკითხის მოგვარება და, რაც მთავარია, ერთ-ერთი მთავარი პროექტი იყო სწორედ ჯარის ქალაქის რეალიზება.**

**იცით, რომ ეს პროექტი ძალიან მოკლე ვადაში შესრულდა. მე მინდა მშენებელი კომპანიის ხელმძღვანელობას, მშენებლებს, ყველას მადლობა გადავუხადო, ვინც ამ პროექტში იღებდა მონაწილეობას. იცით, რომ ჩვენ უპრეცედენტო პირობები შევთავაზეთ ჩვენს ჯარისკაცებს, ჩვენს საამაყო ჯარს. მე მიხარია, რომ დღეს ეს პროექტი დასრულდა, მაგრამ მინდა გამოვაცხადო, რომ ეს არ არის ერთჯერადი პროექტი. ის გაგრძელდება და ასეთივე ანალოგიური პროექტი შეიქმნება ძალიან მალე.**

**ასევე მინდა ვთქვა, რომ ჩვენი სახელმწიფოს ვალია თქვენი სამსახური, თქვენი ეს თავდადება დავაფასოთ მაქსიმალურად. სამხედროების სამსახური არის ფასდაუდებელი და ჩვენ ყველანი, პირველ რიგში მთავრობა, ხელისუფლება არის ვალდებული, რომ მაქსიმუმი გააკეთოს თქვენთვის, რომ დაფასდეს თქვენი სამსახური, თქვენი თავდადება, თქვენი გმირობა ჩვენი ქვეყნის წინაშე. მე კიდევ ერთხელ ქედს ვიხრი თქვენ წინაშე, თქვენი გმირობის წინაშე. თქვენს ოჯახებს მინდა მადლობა გადავუხადო, თქვენს მეუღლეებს, თქვენს მშობლებს, თქვენს შვილებს და კიდევ ერთხელ გისურვოთ მშვიდობა და გამარჯვება",** – განაცხადა პრემიერმა.



ბინების გადაცემის ცერემონიაზე პირველი ბინა სამხედრო მოსამსახურის ოჯახს სიმბოლურად პრემიერმა გადასცა. ბინების გადაცემის საზეიმო ღონისძიებაზე სიტყვით ასევე გამოვიდა თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე. ცერემონიას თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები დაესწრნენ.

* * *

**„ჯარის ქალაქში" სამხედრო მოსამსახურეებისთვის ბინების გადაცემის პროცესი გუშინ დილიდან განახლდა. საცხოვრებელი ბინების განაწილება, ლოტოტრონის პრინციპის საფუძველზე, საბინაო კომისიის მიერ ხდება. სამხედროებმა 50მ² და 110მ²-იანი საცხოვრებელი ბინები უკვე მიიღეს, გუშინ კი 80მ² ბინების განაწილება მიმდინარეობდა.**

**მახათას მთაზე სამხედროებისთვის 39 შვიდსართულიანი კორპუსი აშენდა, რომელშიც 1092 ბინა განთავსდა. სამხედროებმა 50მ² (2-3 წევრი), 80მ² (4 წევრი) და 110მ²-იანი (5 და მეტი წევრი) საცხოვრებელი ფართის შეძენა, სულადობის პრინციპის გათვალისწინებით, უპრეცედენტოდ შეღავათიანი პირობებით შეძლეს.**

საცხოვრებელი ფართის კვადრატული მეტრის ღირებულება 200 დოლარს შეადგენდა. შესაბამისად, სამხედროებს ერთ კვადრატულ მეტრში დაახლოებით 100 დოლარის გადახდა მოუწიათ. ამ თანხის გადასახდელად სამხედროებს საშუალება ჰქონდათ არა საბანკო გარანტიებით, არამედ უპროცენტო შიდა განვადებით ესარგებლათ.

პროექტი განგრძობითი ხასიათის იქნება. ამ მიზნით, თავდაცვის კოდექსში ცვლილებები შევიდა, რომლის შედეგადაც მაიორი და ზევით ოფიცერთა შემადგენლობა, მასტერ-სერჟანტი და ზევით სერჟანტთა კატეგორია ბინას მიიღებს, რაც იქნება სამხედროების დაფასების მიმართულებით სრულიად უპრეცედენტო გადაწყვეტილება.



### კახა კალაძე:

## საქართველო აქამდეც იმსახურებდა სტატუსს, მაგრამ არასამართლიანი პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო მიღებული

**„ბორელი როცა იყო ჩამოსული, რაზეც მინიშნებები გაკეთდა, ყველაფერი შესრულდა. დეოლიგარქიზაციის კანონთან დაკავშირებით მთავრობის სამოქმედო გეგმა გადაგზავნილია ვენეციის კომისიაში.**

**მათი მხრიდან რა მოთხოვნაც იყო გაჟღერებული, შესრულდა. თანამშრომლობას ყოველთვის მივესალმებით, ამას წინ არაფერი უდგას. საქართველო აქამდეც იმსახურებდა სტატუსს. ჩვენი მეგობარი ქვეყნებიდანაც ბევრი განცხადება გაკეთდა, რომ საქართველო იმსახურებდა სტატუსს, თუმცა საქართველოსთან მიმართებით არასამართლიანი პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო მიღებული",** – განაცხადა კახა კალაძემ.

# მოვიგერიოთ ლიბერალ-მარგინალთა შემოტევა!!!

### ირაკლი გოგავა:

# ერის მოაზროვნე ნაწილი კიდევ ერთხელ 9-წლიან სისხლიან დიქტატურას არ დაუშვებს!



**პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობების ცნობილი სპეციალისტი ირაკლი გოგავა კონკრეტული პირების მიმართ, ვინც სუს-ის ინფორმაციით, სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებაშია ჩართული, პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ელოდება. როგორც პოლიტოლოგი აცხადებს, ქვეყნები, რომელსაც ჩვენ სტრატეგულ პარტნიორებსაც კი ვუწოდებდით, ფაქტობრივად, წირავენ საქართველოს და აშიშვლებს იმ დამოკიდებულებას, რომელიც მათ საქართველოს მიმართ აქვთ.**

**for.ge ირაკლი გოგავას ესაუბრა.**

**– აშშ-ის საელჩო აცხადებს, რომ USAID-ის მიმართ ბრალდება არის დაუსაბუთებელი და, რომ გააგრძელებენ ქვეყანაში მათი პროექსების დაფინანსებას და მხარდაჭერას. სუს-ის განცხადებიდან თუ ამოვალთ, არსებობს სახელმწიფო გადატრიალების გეგმა და ეს მცდელობა სულ იყო, მაგრამ ახლა რატომ გააქტიურდა ეს გეგმა, რომელშიც ჩართულია აშშ-ის საელჩო და კერძოდ, USAID?**

**ირაკლი გოგავა:** ეს გეგმა რომ არსებობს, ამას ყველა ვხედავთ. ბოლო წლების განმავლობაში ცდილობენ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას, მაგრამ იმის გამო, რომ სახალხო მხარდაჭერა არ აქვთ, რადგან თვითონ ადგილზე წარმოადგენენ მარგინალურ ჯგუფებს, ვერ ხორციელდება. ახლა გააქტიურდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა რუსეთთან მეორე ფრონტის გახსნაზე და უარი თქვა კანონზომიერად, რაც ბუნებრივი იყო. მეორე ფრონტი ნიშნავს, რომ ქართულმა სახელმწიფომ შეიძლება შეწყვიტოს არსებობა, ვინაიდან მსგავსი ქმედებები გამოიწვევს რუსეთის აგრესიულ ჩარევას და საქართველოს ოკუპაციას. შეიძლება, სახელმწიფო საერთოდ დავკარგოთ, ან ვიღაცა მარიონეტული მთავრობა დაგვასვან თავზე.

რაც შეეხება აშშ-ს, ჩვენ უნდა გავმიჯნოთ – ადმინისტრაცია, რომელიც მართავს აშშ-ს, არ გამოირჩევა განსაკუთრებული პასუხისმგებლიანი მიდგომით პარტნიორებთან ურთიერთობაში. ჩვენ გვახსოვს, რომ მაგალითად, ტრამპის დროს მსგავსი გეგმები არ არსებობდა. ანუ, დემოკრატებს და მსოფლიო გლობალისტურ წრეებს ასეთი ავანტურისტული გეგმები ახასიათებთ. თუმცა, მეორე მხრივ, სახელმწიფო გადატრიალების სტატისტიკა აჩვენებს, რომ მთელ მსოფლიოში მხოლოდ ყოველი მე-8 არის წარმატებული, 7 მცდელობა კი უშედეგო. გადატრიალების მოწყობას და ფერადი რევოლუციის დაორგანიზებას სჭირდება კარგად დაფინანსებული აქტიური უმცირესობა, მაგრამ ასევე ეს უნდა მიმდინარეობდეს უმრავლესობის დუმილის ფონზე. სხვანაირად ვერ მიაღწევენ წარმატებას.

**რუსეთთან ურთიერთობები როგორმე უჩვენოდ გაარკვიონ. ჩვენ გვინდა მშვიდობა, მიუხედავად ხელისუფლების ბევრი შეცდომისა, არასწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და ა.შ. 10 წელია გადაბმული მშვიდობა გვაქვს, ხალხი თავისით ავითარებს ეკონომიკას და ვხედავთ, რომ რაღაცები უმჯობესდება. რა თქმა უნდა, იმ ტემპით არა, რაც გვჭირდება, მაგრამ ეს მეორე ეტაპია, რომ ამ ნეოკოლონიალური სისტემიდან ამოვიდეთ და სუვერენული განვითარების გზას დავადგეთ უკვე ეკონომიკური კუთხითაც. საქართველო იბრძვის სუვერენიტეტისთვის, რაც დასავლეთში მმართველი წრეებისთვის არის მიუღებელი.**

**1937 წლის რეპრესიებს რამდენიმე ათეულჯერ გადააჭარბა რეპრესიებისა და ქონებების წართმევის იმ მასშტაბებმა, რაც სააკაშვილის დროს იყო. ამისკენ მიბრუნება დაუშვებელია.**

**– ყველა წინა მცდელობა აჩვენებს, რომ მიიღეს უმრავლესობის დუმილი, ამ შემთხვევაში მიიღებენ საზოგადოებისგან ასეთივე პოზიციას?**

– არა. აი, ამ უმრავლესობის დუმილს ისინი ვერ მიიღებენ, იმიტომ, რომ ჩვენ არ ვაპირებთ გაჩუმებას. იმ დუმილის სპირალში შესვლას არ ვაპირებთ და აუცილებლად შევეწინააღმდეგებით ამას. მე ვსაუბრობ არაპარტიულ საზოგადოებაზე, ქართველი ერის მოაზროვნე ნაწილზე, რომელიც კიდევ ერთხელ 9-წლიან სისხლიან დიქტატურას არ დაუშვებს. ეს ლიტონი სიტყვები არ არის. 1937 წლის რეპრესიებს რამდენიმე ათეულჯერ გადააჭარბა რეპრესიებისა და ქონებების წართმევის იმ მასშტაბებმა, რაც სააკაშვილის დროს იყო. ამისკენ მიბრუნება დაუშვებელია.

რაც შეეხება საკუთრივ სუს-ის განცხადებას, ეს ორგანიზაცია აღარ არის ის, რაც 90-იან წლებში იყო, დაიხვეწა, მათ აქვთ ტექნიკური საშუალებები, მათ აქვთ ინფორმაცია და ჰაერზე ასეთ განცხადებებს არ აკეთებენ, მით უმეტეს როცა საქმე ეხება აშშ-ის ჩართულობას. ეს ორგანიზაციები ვინც სუს-ის ინფორმაციით მონაწილეობს სახელმწიფო გადატრიალებაში – იგივე სერბები, რომლებიც აქ იყვნენ ჩამოსული, „კანვასის" დამფუძნებლები, გნებავთ „ოტპორის" დამფუძნებლები, გადატრიალების ტექნოლოგიის ერთ-ერთი ინსტრუმენტი არიან და საქართველოშიც ამზადებენ ხალხს.

**– თეორიულად, დავუშვათ, რომ რადიკალურმა ჯგუფმა შეძლო პროცესების რადიკალიზაცია, ასეთ შემთხვევაში რა პროცესებს მივიღებთ?**

– ჩვენ ისევ წარსულში დაბრუნებას ვერ დავუშვებთ და, რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმის, რომ გადატრიალება თუ წარმატებული გამოდგა, ზუსტად 2-3 კვირაში მოგვიწევს სანგრების გათხრა და რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩართვა, ვინაიდან დასავლეთიდან და უცხოეთიდან ამის დამკვეთებს მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებთ – საქართველოში გაიხსნას მეორე ფრონტი.

**– რაში სჭირდებათ მეორე ფრონტი?**

– იმიტომ, რომ ის გეგმა, რომელიც მათ ჰქონდათ, უკრაინაში ვერ ამართლებს. რუსეთი ვერ ჩამოშალეს, ვერ დაამარცხეს. სტრატეგიული მარცხი, როგორც აცხადებდნენ, ვერ მიიღეს და შესაბამისად, უნდათ, რომ რუსეთის ძალები დაქსაქსონ სხვადასხვა მიმართულებით და მათ შორის საქართველოს მიმართულებით.

რუსეთთან ურთიერთობები როგორმე უჩვენოდ გაარკვიონ. ჩვენ გვინდა მშვიდობა, მიუხედავად ხელისუფლების ბევრი შეცდომისა, არასწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და ა.შ. 10 წელია გადაბმული მშვიდობა გვაქვს, ხალხი თავისით ავითარებს ეკონომიკას და ვხედავთ, რომ რაღაცები უმჯობესდება. რა თქმა უნდა, იმ ტემპით არა, რაც გვჭირდება, მაგრამ ეს მეორე ეტაპია, რომ ამ ნეოკოლონიალური სისტემიდან ამოვიდეთ და სუვერენული განვითარების გზას დავადგეთ უკვე ეკონომიკური კუთხითაც. საქართველო იბრძვის სუვერენიტეტისთვის, რაც დასავლეთში მმართველი წრეებისთვის არის მიუღებელი.

**– დღეს მიდის სუვერენიტეტისთვის ბრძოლა, მაგრამ რამდენად შეძლებს ამას ხელისუფლება ისე, რომ არ მივიღოთ სახელმწიფო გადატრიალება?**

– ხელისუფლებას ბეწვის ხიდზე უწევს გავლა. ძალიან ბევრი გამოწვევა, საფრთხე და მუქარა არსებობს. პირველ რიგში, უნდა მოხერხდეს ისე, რომ არ დავუშვათ მეორე ფრონტი. ხელისუფლება არჩევნებამდე მივიდეს და თუ შესაცვლელია, მხოლოდ სამართლიანი არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს. ამავე დროს, უნდა მოხერხდეს, რომ ქვეყანა არ გახდეს სანქციების და ემბარგოების სამიზნე.

**– რაც ძალიან რთული ამოცანაა...**

– გეთანხმებით, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლებას აქვს რამდენიმე კოზირი, რაც შევარდნაძის ხელისუფლებას მაშინ არ ჰქონდა. ეს არის, პირველი - საზოგადოების 80%-ისთვის კატეგორიულად მიუღებელია ეს ლიბერალური მარგინალური ჯგუფები, თუნდაც ეს ერთობლივი კოლექტიური ნაცები, რომლებიც პირდაპირ წარმოადგენენ უცხოეთის მე-5 კოლონას და იქიდან ფინანსდებიან წელიწადში, დაახლოებით, 200 მილიონი დოლარით. მეორე – ამ ლიბერალურ მარგინალურ ჯგუფებს არ აქვთ დომინაცია მედიასფეროში. კი, აქვთ თავისი მედია საშუალ-

**2003 წელს შევარდნაძის ძალოვან მინისტრებს ოდნავ ფხა რომ გამოეჩინათ და ერთი 20 კაცი სატუსაღოში გაეშვათ და მეორე 20-სთვის დაელურჯებინათ ერთი ადგილი, ქვეყანა აცდებოდა იმ უზარმაზარ უბედურებას, რაც მერე, 2008 წლის ომში განვიცადეთ, როცა ქართულ სოფლებს ქვების გროვა უწოდა მაშინდელმა პრეზიდენტმა. დაშალეს, დაანგრიეს ქართული სოფლები, 100 ათასზე მეტი დევნილი გვყავდა და თანაც იურიდიულად შეფუთა ახალგორის ჩაბარება, ისევე როგორც კოდორის ხეობის...**

ებები, მაგრამ დომინაციას ვერ ახორციელებენ. არის სხვა გამოცემები, სხვა ტელევიზიები.

მესამე – ეს არის ხალხის განწყობა. ჩვენ უკვე ვიცით და გამოვიარეთ ის საშინელი 9 წელი. ვიცით, რაც იყო დემოკრატიის სახელით მოსული, ანუ სახელმწიფო გადატრიალების მეშვეობით მოსული ხელისუფლება. ფაქტობრივად, ეს იყო სისხლიანი დიქტატურა, ხალხს ქუჩაში ხოცავდნენ, ღამის 2 საათზე ნოტარიუსების თანდასწრებით ართმევდნენ ქონებას. 40 ათას ადამიანზე მეტს წაართვეს ქონება, 300 ათასზე მეტი პრობაციონერი გვყავდა, შრომისუნარიანი მამაკაცების 30% ციხეში გაატარეს, პატიმრების რაოდენობით პირველ ადგილზე ვიყავით ევროპაში, მსოფლიოში მეორეზე. ამ კატასტროფის გამოვლა ნორმალურ ადამიანს აღარ უნდა უნდოდეს.

2003 წელს შევარდნაძის ძალოვან მინისტრებს ოდნავ ფხა რომ გამოეჩინათ და ერთი 20 კაცი სატუსაღოში გაეშვათ და მეორე 20-სთვის დაელურჯებინათ ერთი ადგილი, ქვეყანა აცდებოდა იმ უზარმაზარ უბედურებას, რაც მერე, 2008 წლის ომში განვიცადეთ, როცა ქართულ სოფლებს ქვების გროვა უწოდა მაშინდელმა პრეზიდენტმა. დაშალეს, დაანგრიეს ქართული სოფლები, 100 ათასზე მეტი დევნილი გვყავდა და თანაც იურიდიულად შეფუთა ახალგორის ჩაბარება, ისევე როგორც კოდორის ხეობის...

**– თუკი სუს-ის განცხადებიდან გამოვალთ, პროვოკაციული, რევოლუციური სცენარების მომზადებისთვის მიმდინარეობს ახალგაზრდების გადამზადება და რაც ყველაზე სამწუხაროა, ამაში ამერიკელი ხალხის ფული იხარჯება. გარდა ამისა, არსებობს რამდენიმე გეგმა, ქაოსი მთელი ქვეყნის მასშტაბით და უკვე უკრაინიდან საგანგებოდ ჩამოსული მებრძოლების ჩართვა პროცესში. რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ არ მივიღოთ მორიგი რევოლუცია?**

– კი, ბატონო. პატარა სახელმწიფო კი ვართ, მაგრამ გვაქვს უპირატესობა – ეს ჩვენი ქვეყანაა, ჩვენს მიწაზე ვართ. კი, დასავლეთს ჰყავს დაახლოებით 8-დან 12 ათასამდე თავისი მოქმედი აგენტურა, რომლებიც სხვადასხვა სფეროში არიან დასაქმებული და რომელსაც ხელფასს უხდიან. ეს არასამთავრობო სექტორი, მედია, მათ შორის ჩინოვნიკები სხვადასხვა დონეზე ჩანერგილები არიან, მაგრამ საბოლოო ჯამში, შევხედოთ ვისზე დებენ ისინი ფსონს – ეს არის რაღაცა პირადი კეთილდღეობის მისწრაფებით აღტკინებული ვითომ პატრიოტები და რეალურად ისინი ქადაგებენ ისეთ დღის წესრიგს, რაც მიუღებელია ქართველი ხალხისთვის.

ამიტომ, ჩვენ უპირატესობა გვაქვს, მოსახლეობის დაახლოებით 80%-ისთვის მიუღებელია ყოფილი ხელისუფლება და ეს არის მთავარი კოზირი, რითაც ჩვენ თავი უნდა დავიცვათ. რა თქმა უნდა, დიდი ფული აქვთ, დიდი ფული ჩაიდება ამ ყველაფერში დასავლეთის მხრიდან და სამწუხაროა, რომ ამერიკის დემოკრატიული ადმინისტრაცია მსგავს ნაბიჯებზე მიდის საქართველოს მიმართ, რომელმაც უზარმაზარი წვლილი შეიტანა ავღანეთის და ერაყის ოპერაციებში.

დასავლეთიდან ეს შემოტევა უნდა მოვიგერიოთ და იმედი გამოვთქვათ, რომ ტრამპის გუნდი მოიგებს ამერიკის არჩევნებს და შეიცვლება არაადეკვატური პოლიტიკა, რომელსაც გვთავაზობს დღევანდელი დემოკრატების ადმინისტრაცია.

**– თუმცა, ხელსუფლებამაც უნდა იმოქმედოს, გაასაჯაროვოს მეტი მტკიცებულება, რომ საზოგადოებაში არ გაჩნდეს კითხვები...**

– ფერადი რევოლუციების და სახელმწიფო გადატრიალების წინააღმდეგ არსებობს მხოლოდ ერთი და ყველაზე ეფექტური ბრძოლის გზა. ეს არის მაქსიმალური სიხისტე კანონის ფარგლებში. უკანონობა, პირიქით, უარესია, მაგრამ კანონის ფარგლებში სიხისტე აუცილებელია. იზოლირება იმ ბუნტისთავების, ათმეთაურების, ასმეთაურების – ეს არის პირველი, რაც აუცილებლად უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ. მე იდეაც კი მივაწოდე საზოგადოებას, რომ მოხდეს საპროტესტო აქციებზე იმ ახალგაზრდების დაკავება, ვინც ფულის გამო აპირებენ ამ საპროტესტო აქციებში მოლოტივის კოქტეილების სროლას და ჩააბარონ გაწვევის ცენტრებს. მათ ჯარიდან მიეცემათ სამშობლოსთვის რეალური მსახურების საშუალება. ჯარი ახალგაზრდა ადამიანის ხასიათს საკმაოდ ამყარებს. ჯარს რომ გაივლიან, მიეჩვევიან წესრგს, შემდეგ უკვე საზოგადოებას ეს ხალხი დაუბრუნდება როგორც სასარგებლო მოქალაქე. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ნებისმიერი რევოლუციური ცვლილება აუცილებლად მიიყვანს საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტამდე და ომამდე.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

**დასავლეთიდან ეს შემოტევა უნდა მოვიგერიოთ და იმედი გამოვთქვათ, რომ ტრამპის გუნდი მოიგებს ამერიკის არჩევნებს და შეიცვლება არაადეკვატური პოლიტიკა, რომელსაც გვთავაზობს დღევანდელი დემოკრატების ადმინისტრაცია.**

# ამისთანას რას თამაშობს ივანიშვილი, რომ ყველას ბიძინას თამაშად ეჩვენება ყველაფერი?!

**ორი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება ბიძინა ივანიშვილის შესახებ;**

**საქართველოში არაფერი არ ხდება მის გარეშე;**

**ბიძინას საერთოდ არ აინტერესებს ქართული პოლიტიკა.**



**ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები ეხება, ასევე, პრეზიდენტ ზურაბიშვილისა და ბიძინა ივანიშვილის დამოკიდებულებას. ერთი ვარაუდით, ზურაბიშვილი სწორედ ბიძინას თამაშს თამაშობს, პრეზიდენტის იმპიჩმენტიც სწორედ ბიძინას მიერ დადგმული სპექტაკლია, ზურაბიშვილმა ფარცხალაძეს სწორედ ივანიშვილის მითითებით არ ჩამოართვა საქართველოს მოქალაქეობა და ყველა ნაბიჯის უკან, რასაც პრეზიდენტი დგამს, სწორედ ბიძინა ივანიშვილის ფარული ხელწერა იგრძნობა.**

მეორე ვარაუდით, პრეზიდენტი ზურაბიშვილი ერთ დროს ბიძინა ივანიშვილის ფავორიტი იყო, მაგრამ ახლა ბიძინასგანაც უმართავია და, მარგველაშვილის მსგავსად, ბიძინას ჩრდილიდან გამოსვლას ცდილობს.

* * *

ყოფილი დეპუტატი **დავით ზურაბიშვილი** ამ ორმაგ სტანდარტებზე საუბრობს და კითხვით მიმართავს საზოგადოებას, „ამისთანას რას თამაშობს ბიძინა, რომ ყველას ბიძინას თამაშად ეჩვენება ყველაფერი ის, რასაც თვითონ არ თამაშობს?!"

ამ კონტექსტში დავით ზურაბიშვილი პრეზიდენტ ზურაბიშვილის მიმართ გაორებულ პოზიციას განიხილავს, რომ პრეზიდენტი ბიძინას თამაშს თამაშობს, ან არ თამაშობს; ასევე, დავით ზურაბიშვილი სხვა ორმაგ სტანდარტებზეც საუბრობს ივანიშვილთან დაკავშირებით.

**„ერთნი ამტკიცებენ, რომ პარლამენტს ვინც არ ტოვებს, ბიძინას თამაშს თამაშობს, მეორენი ფიქრობენ, რომ ვინც პარლამენტის დატოვებისკენ მოუწოდებს დეპუტატებს, მისდა უნებლიედ, ბიძინას თამაშს თამაშობს. ერთნი ამტკიცებენ, ბიძინას აწყობს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, მეორენი დარწმუნებულნი არიან, რომ ბიძინას არ უნდა კანდიდატის სტატუსი და ვინც სტატუსის მიღების წინააღმდეგია, ის თამაშობს ბიძინას თამაშს. ერთნი ფიქრობენ, რომ ე.წ. მესამე ძალაზე პრეტენზიას ვინც აცხადებს, ყველა ბიძინას თამაშს თამაშობს, მეორენი კი დარწმუნებულნი არიან, რომ ვინც მესამე ძალის ჩამოყალიბებას ეწინააღმდეგება, ის თამაშობს ბიძინას თამაშს".**

ასეთ გაორებულ პოზიციებში იკარგება რეალობა. მართლაც სად არის ამ თამაშებში ბიძინა ივანიშვილი? თუკი ორი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებაა, რომელს შეიძლება ვენდოთ მის შესახებ?

* * *

ანალიტიკოს **ნიკა ჩიტაძის** მოსაზრებით, პრეზიდენტ ზურაბიშვილის უკან ბიძინა ივანიშვილი არ დგას. უბრალოდ, დღეს პრეზიდენტი ცდილობს, ითამაშოს საკუთარი თამაში, რადგან უკვე გარანტირებული აქვს პრეზიდენტობა. მარგველაშვილიც ასე იყო, ისიც საკუთარ თამაშს თამაშობდა, მაგრამ მარგველაშვილს თავისი პოლიტიკური ძალა არ გააჩნდა და ვერც პოლიტიკური პარტია ვერ შექმნა. ამიტომაც შემდგომ არჩევნებში მარგველაშვილმა აღარ იყარა კენჭი.

**„იგივეა პრეზიდენტ ზურაბიშვილთან მიმართებით, არც ოპოზიციაში და არც „ქართულ ოცნებაში" ზურაბიშვილს არ აქვს მხარდაჭერა, მან დაიკავა პროდასავლურობის ნიშა, ცდილობს უფრო პროგრესულად გამოჩნდეს „ქართული ოცნებისგან" განსხვავებით. თუმცა არა მგონია, პრეზიდენტთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილის კვალი იკვეთებოდეს. ბიძინას როლი უფრო გამუქებულია, ბიძინას აწყობს „ოცნებამ" შეინარჩუნოს ძალაუფლება. თუკი „ოცნებამ" ვერ შეინარჩუნა ძალაუფლება, შეიძლება მას არ დაედგომებოდეს საქართველოში.**

**ამაზეა უფრო კონცენტრირებული ბიძინა ივანიშვილი მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, ვიდრე ზურაბიშვილზე",** – აცხადებს **ნიკა ჩიტაძე** და **პრეზიდენტ ზურაბიშვილის იმპიჩმენტის უკან „ოცნების" მცდელობას ხედავს, ყურადღება სხვა მიმართულებით გადაიტანონ.**

ნიკა ჩიტაძის აზრით, ამით სოციალ-ეკონომიკური პრობლემები შეიძლება დავიწყებას არ მიეცეს, მაგრამ სულ სხვა მიმართულებით ნამდვილად გადავა ყურადღება.

* * *

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი **პახა გოგოლაშვილი** აცხადებს, რომ თავად ბიძინა ივანიშვილმაც არ უნდა იცოდეს, რომელი მოსაზრებისკენ გადაიხაროს და დღესდღეობით, ალბათ, ძალიან დაბნეულია.

**„ივანიშვილმა ნდობა გამოუცხადა თავის გუნდს. კობახიძის, ღარიბაშვილის ქცევებში აშკარად ჩანს, რომ ისინი, ხშირ შემთხვევაში, საკუთარი მოსაზრებებით მოქმედებენ. გამორიცხული არ არის, ივანიშვილი საერთოდ არ ერეოდეს მათ გადაწყვეტილებებში. ახლა ჩიხშია შესული მდგომარეობა და შეიძლება ბიძინა ივანიშვილი ძალიან დაბნეულია, არა მგონია, ჰქონდეს ზუსტი პოზიცია. ყოველ შემთხვევაში, ყველაფრის თქმა შეიძლება, არც ერთი ვარიანტი არ გამოირიცხება, არც ის გამოირიცხება, რომ, სავარაუდოდ, ივანიშვილი განიცდის რუსეთის მხრიდან პერსონალურ ზეწოლას, ან რუსი ოლიგარქების, ან პუტინის მხრიდან გარკვეული სიგნალები იქნება, შეიძლება მუქარებსაც ჰქონდეს ადგილი მის მიმართ. გამორიცხული არც ის არის, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში კვლავ დაბრუნდეს, მაგრამ ამ ეტაპზე, მე მგონი, უფრო დაბნეულია და ჯერ არ იცის, რა სტრატეგია აირჩიოს",** – აღნიშნა **პახა გოგოლაშვილმა.**

მანვე ერთი შედარებაც მოიშველია. კერძოდ, ბიძინა ივანიშვილს ძალიან ბევრი კომპანია აქვს, რომელთაც შორიდან აკონტროლებს, თვითონ არ ერევა მენეჯმენტში, მაგრამ თუკი მის კომპანიებს ცუდად წაუვა საქმე, მაშინ ბიძინა უკვე ერევა ამ კომპანიების საქმიანობაში. ანალოგიურად, ივანიშვილის ეს დამოკიდებულება რომ გადავიტანოთ ქართულ პოლიტიკაში, შესაძლოა, ივანიშვილმა გარკვეული გადაწყვეტილებები მიიღოს საკადრო თვალსაზრისით და ჩაერიოს საქართველოს შიდა პოლიტიკურ პროცესებში.

**„რატომღაც ვგრძნობ, რომ, საბოლოო ჯამში, საკონსტიტუციო დავა გადაწყდება პრეზიდენტ ზურაბიშვილის სასარგებლოდ და ამის შემდეგ, ალბათ, კობახიძეს მოუწევს თავისი პოსტის დატოვება. სხვანაირი ფინალის შემთხვევაში, საკონსტიტუციომ უნდა გადაუსვას ხაზი სინდისს, ნამუსს, კომპეტენციას, ისე მიდის პროცესი, ხელისუფლებას საფუძველი ეცლება, იმპიჩმენტი გამოუცხადოს პრეზიდენტს. ეს ძალიან რეზონანსული საქმეა, რამაც პრეზიდენტის იმიჯი შეიძლება უფრო გაზარდოს",** – აღნიშნა **პახა გოგოლაშვილმა.**

**მანანა ნოზაძე**



# კორუფციის კონტროლით საქართველო უსწრებს ევროკავშირისა და ნატოს წევრ 25 ქვეყანას

**მსოფლიო ბანკმა 30 სექტემბერს გამოაქვეყნა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის გამოკითხვის შედეგები. კვლევა, რომელიც მსოფლიო მმართველობის ინდიკატორების მეთოდოლოგიით არის მომზადებული, ქმნის გლობალურ რეიტინგს მმართველობის ეფექტურობის, კორუფციის კონტროლის, კანონის უზენაესობის და რეგულაციების ხარისხის მიმართულებებით. კორუფციის კონტროლის რეიტინგში საქართველომ შეფასების 100%-იანი სისტემით 68% დაიმსახურა და მსოფლიოში – მე-20, ევროპაში კი მე-11 ადგილი დაიკავა.**

**კორუფციის კონტროლით საქართველო უსწრებს ევროკავშირის და ნატოს წევრ 25 ქვეყანას და დიდი შვიდეულის წევრ ხუთ სახელმწიფოს. ამ სახელმწიფოებს შორის არიან ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, კანადა, შვედეთი, პორტუგალია, ბელგია, ალბანეთი, სლოვენია, კვიპროსი, ლატვია, ლიეტუვა, რუმინეთი. ჩამონათვალი, როგორც გითხარით, საკმაოდ დიდია, მოიცავს 25 სახელმწიფოს, რომლებსაც ვუსწრებთ ჩვენ ამ მონაცემებით".**

* * *

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევის საფუძველზე კორუფციის კონტროლი შეფასდა შემდეგი კრიტერიუმებით: სახელმწიფო სახსრების კეთილსინდისიერი განაწილება, სასამართლო გადაწყვეტილებების, ექსპორტ-იმპორტის, კომუნალური მომსახურების, სახელმწიფო კონტრაქტების და გადასახადების აკრეფის სფეროებში კანონის მოთხოვნების მიღმა გადასახადებისგან თავისუფლება და სხვ.

კორუფციის კონტროლით საქართველო რეგიონში ლიდერი სახელმწიფოა, ხოლო პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის მხოლოდ ესტონეთს ჩამორჩება და მეორე ადგილზეა.

კანონის უზენაესობის კუთხითაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. 100%-იანი შეფასების სისტემა იყო და საქართველომ 64% მიიღო. იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც შეფასდა, 29-ე ადგილზეა ჩვენი ქვეყანა გლობალურად და ევროპაში – მე-14 ადგილზე. კანონის უზენაესობის რეიტინგით, საქართველომ გაუსწრო ევროკავშირის და ნატოს წევრ 21 ქვეყანას, მათ შორის, დიდი შვიდეულის 3 სახელმწიფოს. ჩამონათვალი თითქმის იგივეა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევის საფუძველზე კანონის უზენაესობა შეფასდა შემდეგი კრიტერიუმებით: საუბარია სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, ორგანიზებული დანაშაულისგან თავისუფლებაზე; ბიზნესის დაცულობა კრიმინალით და ძალადობით გამოწვეული დანახარჯებისგან, საკანონმდებლო ბაზის ეფექტურობა, საკუთრების უფლება, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხები და ასევე არაფორმალური სექტორის მდგომარეობა.

* * *

**გლობალური კონკურენტუნარიანობის გამოკითხვის საფუძველზე, „რეგულაციების ხარისხის" რეიტინგში საქართველო ასევე ძალიან მაღალ დონეზე შეფასდა, მაღალი მონაცემებით. იქაც 100%-იანი შეფასება იყო და 68% მიიღო ჩვენმა ქვეყანამ. სახელმწიფოებს შორის – მე-9 ადგილზე, ხოლო ეკონომიკებს შორის მე-7 ადგილზე გავედით.**

**ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის საქართველოს უსწრებს მხოლოდ ორი სახელმწიფო – ფინეთი და ლუქსემბურგი. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევის საფუძველზე „რეგულაციების ხარისხი" შეფასდა ორი კრიტერიუმით – სამთავრობო რეგულირების ტვირთი და არასატარიფო ბარიერების გავრცელება. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის გამოკვლევის შედეგების გადამუშავებული სარეიტინგო ანგარიში მსოფლიო ბანკმა ექსკლუზიურად გამოაქვეყნა გლობალური მმართველობის ინდიკატორების პროექტის ფარგლებში.**

**დასკვნის სახით, მსურს, აღვნიშნო, რომ ზემოთ აღნიშნული რეიტინგები, რა თქმა უნდა, მთავრობის სწორი, ეფექტიანი რეფორმების შედეგია!**

**რევაზ ჯაველიძე,**
მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი

**არა მარტო აფხაზეთის მცხოვრებთათვის, არამედ ყველასთვის, ვისაც რუსეთის გვერდში განლაგებული ამ პატარა რესპუბლიკის ბედი აღელვებს, უკვე სრულიად ნათელია, რომ დიდმა მეზობელმა მას საბოლოოდ დაადო თათი. თუ ადრე წერა მიწევდა მოსკოვის გრანდიოზულ გეგმებზე, რომელიც კრემლელი ჩინოსნების თავებში მწიფდებოდა, ახლა უკვე იმის კონსტატაცია მიწევს, რომ აფხაზეთის ათვისების რუსული გეგმა წარმატებით განხორციელდა!.**



## აფხაზები პირდაპირ ამბობენ:

# „სული მივყიდეთ რუს ეშმაკს, რომელიც ეს-ესაა, ბოლოს მოგვიღებს“

**არადა, ყველაფერი იწყებოდა იმ „ამოწყვეტის პირას მყოფი“ აფხაზი ხალხის „დახმარებით“, რომლის ბლოკადა 1993 წელს სწორედ მოსკოვმა მოაწყო. აფხაზეთში სიცივისა და შიმშილის შემყურე რუსები ქართველებსა და დანარჩენ მსოფლიოსთან დიალოგის „აქტიური ხელშემწყობის“ როლს თამაშობდნენ, რეალურად კი გეგმაზომიერად ახორციელებდნენ ტერიტორიის უსისხლოდ დაპყრობის განზრახვას.**

თუ გასულ წლებში რუსეთს აფხაზეთის დახმარება კაპიკები უჯდებოდა, რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ მოსკოვს მილიონების გაღება მოუწია და ეს მილიონები წყალში, უფრო ზუსტად კი იმ გაუმაძღარი აფხაზი ჩინოსნების ჯიბეებში ჩაიყარა, რომელთაც არაფერი ადარდებდათ, გამდიდრების გარდა. მათ ფეხებზე ეკიდათ, რომ აფხაზეთის საუკეთესო მიწები „საჩუქრად“ სხვადასხვა რუს ჩინოსნებს გადაეცემოდათ, დარჩენილ ნაწილზე კი სოკოებივით მრავლდებოდა სხვადასხვა დანიშნულების სამხედრო ბაზები.

რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებიდან გასული 15-წლიანი პერიოდის განმავლობაში რესპუბლიკა და მისი მოსახლეობა ნამდვილ ტყვეებად იქცნენ „სტრატეგიული პარტნიორისა“, რომელიც განუწყვეტლივ იმეორებდა, როგორ „ზრუნავდა“ და „ეხმარებოდა“ აფხაზ „ძმებს“. აფხაზური საზოგადოება კი მთელი ეს დრო თვალში ნაცარშეყრილი აკვირდებოდა მოვლენებს და სწამდა, რომ აფხაზეთს მხოლოდ რუსეთსა და რუსსკი მირთან ერთად დგომის შემთხვევაში შეეძლო გადარჩენა.

მეხი მაშინ გავარდა, როცა ხალხმა ბოლოს და ბოლოს გააცნობიერა, რომ აფხაზეთ-რუსეთის ურთიერთობებში რაღაც რიგზე არ იყო. ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკი მხოლოდ ტრიგერი იყო მოვლენებისთვის, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე წლების განმავლობაში მიზანმიმართულად ხორციელდებოდა. ავიღოთ თუნდაც თითქმის გაწყვეტილი ურთიერთობები უცხოეთში აფხაზურ დიასპორებთან, მკვლელობები იმ გავლენიანი აფხაზებისა, რომელთაც საჭირო მომენტში ხალხი გაჰყვებოდა, თითქმის ყველა უწყებაში მაღალ თანამდებობებზე რუსული სპეცსამსახურების – ფსბ და გრუ მოქმედი თანამშრომლების ჩანერგვა-დანიშვნა...

**რუსი სამხედროებით უკვე მთელი აფხაზეთია გადაძეძგილი. ერთი სოფლიდან მეორეში რომ გადადიხართ, აუცილებლად გაგაჩერებთ რუსი სამხედრო საგუშაგოს შესამოწმებლად. ტელეფონები ისმინება, ნებისმიერი შეხვედრა ან თუნდაც სტუმრად მისვლა თვალთვალს ექვემდებარება. ერთი სიტყვით, რესპუბლიკაში უკვე რამდენიმე წელია, ხორციელდება ტოტალური კონტროლი მათ მიმართ, ვინც რუსეთის გეგმების რეალიზებისთვის პრობლემად შეიძლება, იქცეს.**

სულ ახლახან, აფხაზური საზოგადოება ააფეთქა ინფორმაციამ ოჩამჩირეში რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის სრულფასოვანი ბაზის დაგეგმილი მშენებლობის შესახებ. და რაა ამაში განსაკუთრებული? – შეიძლება, იკითხოს ვინმემ. საქმე იმაშია, რომ აფხაზეთი ისედაც გადაძეძგილია ათასგვარი დანიშნულების სამხედრო ბაზებით. ამას ემატება ის ჩაკეტილი, საიმედოდ დაცული, მილიტარიზებული რუსული დასახლებებიც, რომლებიც აფხაზეთის განაპირა სოფლებში წლებია, „რელიგიური თემების“ საფარქვეშ მოქმედებენ. მათი საუკეთესოდ გაწვრთნილი ბინადარი „ბერები“ რუსეთს უკრაინაში მიმდინარე სპეციალურ სამხედრო ოპერაციაში რატომღაც არ ეხმარებიან და ადგილზე რჩებიან. როგორც ჩანს, ასეთი ამოცანა დაუსახეს, განსაკუთრებული განკარგულების მიღებამდე აქედან ფეხი არ გაადგან. საინტერესოა, რა მიზნით ინახავს რუსული სახელმწიფო ცივილიზაციისგან მოწყვეტილ ამ ადგილებში თავის შეიარაღებულ „სპეცებს“? – როგორც ჩანს, იმ შემთხვევისთვის, თუ აფხაზები ხმას აიმაღლებენ და წინააღმდეგობის გაწევას გადაწყვეტენ.

## ქართულ-აფხაზური წალკოტი რუსებსა და სომხებს რჩებათ!

**„რაღაც დიდი უბედურების მოახლოების შეგრძნება მაქვს. აფხაზეთი იმდენი საუკუნის განმავლობაში უძლებდა დამპყრობლების შემოტევებს, რეალური მტერი კი ვერ ამოვიცანით. ის კი, „მეზობრის“ ნიღაბს ამოფარებული, ნაბიჯ-ნაბიჯ გვართმევდა ყველაფერს – ენას, მიწას, ღირსებასა და სახელმწიფოს. 30 წლის წინ ომი თითქოს მოვიგეთ, მაგრამ რეალურად, რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს ამის აღიარება, წავაგეთ. სული მივყიდეთ რუს სატანას, რომელიც ეს-ესაა მოგვიღებს ბოლოს“,** – წუხს ჩვენი რესპონდენტი ბატალი.

ჩვენი კიდევ ერთი თანამოსაუბრის – ალექსეის აზრით, აფხაზეთი დაღუპვის პირასაა. **„როგორც ან უნდა ვეცადოთ საჯაროდ რუსეთისა და რუსსკი მირის მხარდაჭერას, ყველას გვესმის, რომ მათ მოგვატყუეს, გაგვაცურეს და ეს-ესაა წერტილს დაგვასვამენ. ყველაზე საწყენი ისაა, რომ საკუთარი ხელით ვაძლევთ სამშობლოს საჯიჯგნად რუსებს“** – ამბობს ალექსეი.

**„ერთი შეხედვით, აქ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ბაზის ყოფნა ცუდი არ უნდა იყოს. თუმცა არსებობს ერთი დიდი „მაგრამ“: ესოდენ მნიშვნელოვანი სამხედრო დანიშნულების სრულფასოვანი ბაზა შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას მოითხოვს, ეს კი ნიშნავს, რომ აფხაზეთში უკვე მყოფ ათასობით რუს სამხედროსა და მათი ოჯახების წევრებს კიდევ დაახლოებით 2 000 დაემატება. ამას ემატება რუსეთის მოქალაქეების გადმოსახლების უკვე მიმდინარე პროცესიც და ჯამში ეს ყველაფერი სრული ასიმილაციით დასრულდება, მისგან გამომდინარე ყველა შედეგით. იმედი მაქვს, ექსპერტები საკუთარ აზრს გამოხატავენ. ჩემი პირადი ხედვით კი, ამის დაშვება არ შეიძლება, მაგრამ თუ ბაზა მაინც ამოქმედდება, მაშინ გაიყვანოს რუსეთმა სხვა 4-5 თავისი სამხედრო ბაზა! წინააღმდეგ შემთხვევაში აფხაზეთი ქვეყანა კი არა, რუსული პოლიგონი გახდება!“** – თვლის ჩვენი კიდევ ერთი თანამოსაუბრე სტანისლავი.

ვერ დავიჯერებ, რომ ხელმძღვანელ პირებს, რომლებიც აფხაზეთს სხვადასხვა დროს ედგნენ სათავეში, არ ესმოდათ და ვერ ხედავდნენ, სად მიიყვანდა ჩვენს რესპუბლიკას რუსეთთან მეტისმეტად მჭიდრო თანამშრომლობა. უბრალოდ მათ იმხანად, მაღალი ალბათობით, აფხაზეთის ბედზე მეტად პირადი ანგარიშები აღელვებდათ რომელიმე რუსულ ბანკში. ასე მოვედით დღემდე.

არაოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, აფხაზეთში რუსებისა და სომხების რაოდენობა მრავალჯერ აჭარბებს ძირითადი ეთნოსის – აფხაზებისას. ხოლო თუ მათგან მხოლოდ იმათ დავითვლით, ვისაც ჯერ კიდევ შერჩა რუსული დათვის დამარცხებისა და მისი ხარბი თათებიდან აფხაზეთის დახსნის იმედი, ასეთი ალბათ, ორი ათასიც კი ვერ მოგროვდება.

**კრისტინა ავიძბა.**

**(ტექსტი შეიცავს ტოპონიმებს და ტერმინოლოგიას, რომელიც ოკუპირებულ აფხაზეთში გამოიყენება)**

---



# ისრაელის 11 სექტემბერი...

## რეგიონი ცეცხლშია გახვეული!

**მე-20 საუკუნის ბოლოდან გააქტიურებული ტერორიზმი დღემდე მსოფლიოს პრობლემად რჩება. უმიზეზოდ და უმიზნოდ არაფერი იქმნება. ტერორიზმის მომზადებას უდიდესი კაპიტალი სჭირდება**

**...რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ, გამანადგურებელი ომის დაწყება ახლო აღმოსავლეთში, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს კიდევ უფრო ართულებს. შესაძლოა, ისრაელი, როგორც მეორე ფრონტი, ომის რომელიმე სცენარში იყოს გაწერილი, რომელსაც შორს მიმავალი გეგმები ჰქონდეს. ეს ნათელი გახდება ყველასთვის ახლო მომავალში.**

განსაკუთრებით მძიმეა ის ფაქტი, რომ ტერორიზმის ასეთ გაძლიერებას ვხედავთ. დღეს ისრაელს დაარტყეს, ხვალ შეიძლება სხვა ქვეყანა აღმოჩნდეს მათი სამიზნე. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ტერორიზმი, გარდა კონკრეტული პოლიტიკური მოთხოვნებისა, ბრძოლის იარაღად რელიგიას იყენებს. არადა, ყველა რელიგია მხოლოდ საყოველთაო მშვიდობის ღირებულებებზეა დაფუძნებული.

**მე-20 საუკუნის ბოლოდან გააქტიურებული ტერორიზმი დღემდე მსოფლიოს პრობლემად რჩება. უმიზეზოდ და უმიზნოდ არაფერი იქმნება. ტერორიზმის მომზადებას უდიდესი კაპიტალი სჭირდება. ფაქტია, მსგავს ტერაქტებს, რაც ისრაელში განხორციელდა, დიდი დაფინანსება სჭირდება.**

ამიტომ, მნიშვნელოვანია მსოფლიოს თანამეგობრობამ დაიწყოს ბრძოლა არა მხოლოდ ტერორისტების წინააღმდეგ, არამედ, მათი დამფინანსებელი ჯგუფების ან სახელმწიფოების წინააღმდეგაც. ყველანი ვხვდებით, რომ ტერორიზმი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენება. სანამ პოლიტიკა მსოფლიოს გარკვეულ წერტილებში ტერორიზმის ენით გვესაუბრება, მანამ ამ მსოფლიოს სიმშვიდე ვერ ექნება.

მათ შორის, სიმშვიდე ვერ იქნება საქართველოშიც. ალბათ ჩვენი მოქალაქეები ხვდებიან, თუ რა ნებისყოფა და გონიერება სჭირდება დღეს ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებას, მითუმეტეს მაშინ, როდესაც რეგიონი ცეცხლშია გახვეული. ომის გაჩაღება ჩვენთან გარკვეული სახელმწიფოების და პოლიტიკური პარტიების ინტერესებში შედის როგორც შიდა ოპოზიციის ნაწილის, ასევე მათი მხარდამჭერი გარე ძალების მხრიდან.

**რუსეთ-უკრაინის ომისგან გამოწვეული პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისი ნახევარზე მეტ მსოფლიოს უშუალოდ შეეხო. იმედს ვიტოვებ, რომ ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები ფართო მასშტაბებს არ შეიძენს და ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი მსოფლიო ამ გამოწვევას გაუძლებს,** – წერს ხუნდაძე.



**დიმიტრი ხუნდაძე**



# განა ეს საკითხავია?!

## ღია წერილი

### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ბატონ გიორგი ამილახვარს

**ბატონო გიორგი, უწინარესად, მოგილოცავთ ამ მეტად საპატიო პოსტზე დანიშვნას და წარმატებას გისურვებთ მართლაც რომ ტვირთმძიმე მოვალეობის შესრულებაში.**

**მინდა, ორიოდე მოსაზრება გაგიზიაროთ ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით.**

**ცხადია, არა მაქვს ამ ურთულესი პროცესის პერიპეტიებში ღრმად წვდომის პრეტენზია.**

**საამისო კომპეტენცია არც გამაჩნია და არც მომეთხოვება. მხოლოდ ორიოდე ისეთ პრობლემურ საკითხს შევეხები, „ზედაპირზე რომ დევს“ და ყველასთვის ადვილად შესამჩნევია.**

**დავიწყებ გამოცდების ჩატარების ადგილით, ლოკაციას რომ უწოდებენ.**

ამ ზაფხულს, ეროვნულ გამოცდებზე, ე. წ. „მეტრომშენის დასახლებაში“, თავად შევესწარი ტრაგიკულობამდე მძიმე სურათს: წუთნახევრით დაგვიანებულ აბიტურიენტს, რომელიც იქ, დილის ცხრა საათამდე, გლდანის მეშვიდე მიკრორაიონიდან უნდა მისულიყო.

ტრანსპორტით მუდმივად გადატვირთული ქუჩების პირობებში, დაგვიანება, ცხადია, არ უნდა გაგვიკვირდეს.

ამის შესახებ დაუყოვნებლივ მივწერე თქვენს ერთ-ერთ მოადგილეს, მაგრამ წესი წესია და დაგვიანებული აბიტურიენტი გამოცდაზე არ დაუშვეს.

გამიჭირდება იმ ბიჭისა და, უფრო მეტად, მშობლის (დედის) იმდროინდელი განცდების აღწერა...

ნუთუ ასე ძნელია ამ საკითხის მოგვარება, გლდანში მცხოვრებ აბიტურიენტს გამოცდის ჩაბარება ვარკეთილში რომ არ უწევდეს?!

მინდა, ესეც გაკვირვებით ვიკითხო:

რატომ აღარ ტარდება ეროვნული გამოცდები სახელმწიფო უნივერსიტეტების კორპუსებში?!

ეს ხომ დაგვიანებებსაც მაქსიმალურად გამორიცხავდა და თვითონ გამოცდების მნიშვნელობასაც უფრო მეტად გამოკვეთდა?!

*   *   *

**მეორე საკითხი ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამოცდის ჩატარების წესს ეხება.**

გავიმეორებ: არ მაქვს პრეტენზია, რომ ამ საკითხში (თვითონ წესს ვგულისხმობ) ღრმად ვარ ჩახედული, მაგრამ მგონია, რომ ის აუცილებლად გადასახედია. ვეჭვობ, რომ გამოცდის ამჟამინდელი მოდელი საუკეთესოა აბიტურიენტის ცოდნის გამოსავლინებლად.

ავიღოთ, მაგალითად, გამოცდის ერთ-ერთი კომპონენტი: რედაქტირება.

ერთი შეხედვით, თითქოს, მარტივი დავალებაა, სინამდვილეში კი საკმაოდ რთულია. სტილისტიკა, თავისთავად, რთული დარგია და, სამწუხაროდ, სანთლით საძებარია ისეთები, რედაქტირება სრულყოფილად რომ შეუძლიათ. ამის თვალსაჩინო ნიმუში თვითონ იმ დავალების ტექსტია, აბიტურიენტებს წელს რომ მისცეს.

თან ასეთი გაფრთხილება დაურთეს:

**„ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.“** ამ ორ წინადადებაში უამრავი სტილისტიკური და ორთოგრაფიული შეცდომაა.

„გარკვეული ხელწერა“ სულ სხვა რამაა, „გარკვევით (გასაგებად) დაწერილი“ - სულ სხვა.

„მხედველობაში არ იქნება მიღებული“ – ეს კი სრულიად დაუშვებელი, ოდიოზური კალკია.

და ასეთი დაუხვეწავი ტექსტის შემდგენლები (სპეციალისტები!) აბიტურიენტებისგან მოითხოვენ... ტექსტის დახვეწას(?!).

მეტიც, ამას მოითხოვენ აბიტურიენტებისაგან, რომელთაც იქვე, „სააზროვნოდ და განსახილველად“ სთავაზობენ ლექსს, სადაც, სამჯერ(?!), შეცდომით წერია „გავს“ (ჰ – პირის ნიშნის დაურთველად).

ლექსები – ეს კიდევ ცალკე პრობლემაა, რომელსაც აუცილებლად უნდა მიეხედოს.

არ შეიძლება, აბიტურიენტებს „განსახილველად და სააზროვნოდ“ შევთავაზოთ ისეთი პოეტური ნაწარმოებები, რომლებიც საერთოდ არავინ იცის და თვითონ ავტორებიც ვერ იმახსოვრებენ.

რამდენმა გაკვირვებულმა მომწერა წელს ე. წ. მესენჯერში, რით დაიმსახურა ამან თუ იმან, რა დაწერა ისეთი, ეროვნულ გამოცდებზე რომ მიიტანესო?!

ვფიქრობ, ამ პრობლემას მხოლოდ ერთი სამართლიანი წესის დამკვიდრება თუ მოაგვარებს: ეროვნულ გამოცდაზე აბიტურიენტს მხოლოდ კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებების ცოდნა და მათზე მსჯელობა უნდა მოეთხოვებოდეს.

ეს აგვარიდებს არაერთ კურიოზს და გამოცდიდან გამოსული ახალგაზრდები სასაცილოდ (რბილად ვთქვათ) არ გაიხდიან, შესაძლოა, თავისთავად, არცთუ ურიგო პოეტთა სტრიქონებს, მაგალითად, ასეთს: „არ შიებია მსუყე ხინკალი“...

*   *   *

**ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო და იქნებ ჩვენც მივუბრუნდეთ ძველ გამოცდებს, მზექალა შანიძე, ჯუმბერ ჭუმბურიძე, ნოდარ ტაბიძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, ალექსი ჭინჭარაული, რევაზ სირაძე და სხვები რომ ატარებდნენ.**

ამას წინათ, სოციალურ ქსელში, მეტად საინტერესო პოსტი გამოაქვეყნა ცნობილმა ფოლკლორისტმა, პროფესორმა **ამირან არაბულმა.**

შევეცდები, მოკლედ გადმოვცე მისი შინაარსი.

ხევსური მისაღებ გამოცდას აბარებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ქართულის გამოცდაა.

ვერაფერს წერს.

გააფრთხილებენ, რომ ხუთი წუთიღა აქვს დარჩენილი.

უცებ გადაწყვეტს, რომ შემოთავაზებულ „თავისუფალ თემაზე“ ლექსი დაწეროს.

აი, ამ ლექსს დაწერს:

**„ჯიხვსა რად უყვარს მთის წყარო,**
**არწივს მაღალი მთანია,**
**მე რატომ მიყვარს სამშობლო? –**
**განა ეს საკითხავია?!“**

„ხუთიანს“ დაუწერენ და ერთი გამოცდით ჩარიცხავენ.

ამირან არაბული კი ამას დაწერს:

**„ამ პაწია პატრიოტულ ლექსზე გულის გამანათებელი სიმღერა შექმნა ლელა თათარაიძემ. ავტორი ერთსტროფიანი ლექსისა – ბიძაჩემია, ამქვეყნიდან უდროოდ წასული შალვა არაბული.“**

*   *   *

**დღეს კი, ბატონო გიორგი, იმგვარი „თავისუფალი თემის“ ნაცვლად, აბიტურიენტებს ამგვარ „სააზროვნო თემებს“ სთავაზობენ:**

„მშობლიურ გარემოსთან სულიერი კავშირი სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობას განსაკუთრებით ამძაფრებს.“

კისერს მოიტეხავს კაცი!

ჯვარი სწერია ყველა აბიტურიენტს.

*   *   *

**მისახედია ეს საკითხები, ბატონო გიორგი.**

ისევე, როგორც ბევრი რამ ეროვნული(!) განათლების სისტემაში.

ეს ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ.

თავში ნათქვამს გავიმეორებ:

წარმატებას გისურვებთ მართლაც რომ ტვირთმძიმე მოვალეობის შესრულებაში.



**იოსებ ჭუმბურიძე**

# მთავარი გამოწვევა – კვალიფიციური მუშახელი ბაზარზე

## ირაკლი ღარიბაშვილი:

## გვაქვს ძლიერი ეკონომიკური ზრდა, მაგრამ კვალიფიციური მუშახელის მიწოდება არ არის...

**„გვაქვს ძლიერი ეკონომიკური ზრდა, მაგრამ კვალიფიციური მუშახელის მიწოდება არ არის, რაც სერიოზული პრობლემაა. 2-3 წლის წინ პირიქით გვქონდა მდგომარეობა, შეიძლება ასე ითქვას და დღეს სიტუაცია რადიკალურად არის შეცვლილი. მაგალითს გეტყვით, რომ იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით, ჯანდაცვის სამინისტროს დასაქმების სააგენტოში შემოსული ვაკანსიების თანახმად, გამოიკვეთა ყველაზე მსხვილი სფეროები – ეს არის საზითუმო და საცალო ვაჭრობა, განთავსების საშუალებები – სასტუმროები, უზრუნველყოფა და საკვების მიწოდების საქმიანობა, სარესტორნო ბიზნესი და ა.შ.**

**ასევე მიმართულება – ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები. მეოთხე მიმართულება – ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობა. სულ სააგენტოში დღეის მდგომარეობით 10 ათასამდე ვაკანსიაა დაფიქსირებული. შარშან ჩავატარეთ საინტერესო კვლევა, ეკონომიკის სამინისტრომ ჩაატარა ეს კვლევა, და გამოიკვეთა შემდეგი მდგომარეობა – რაც უნდა ითქვას, რომ საგანგაშოა. გამოიკვეთა, რომ შარშან, პირველი სექტემბრის მდგომარეობით, ბოლო 1 წლის განმავლობაში, საწარმოთა 32%-ს ჰქონდა ვაკანსია, რომელმაც ჯამში, თითქმის 140 ათასი ვაკანსია შეადგინა. ეს რა თქმა უნდა არის საგანგაშო“,** – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

## ჩვენ დავიწყეთ მასშტაბური ინვესტიციების განხორციელება განათლების სფეროში

**„ჩვენი მთავარი ამოცანა, განათლების რეფორმის, არის ხარისხიანი განათლება და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა ყველა საფეხურზე, ყველა დონეზე. იცით, რომ ჩვენ დავიწყეთ მასშტაბური ინვესტიციების განხორციელება განათლების სფეროში. მინდა, კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, რომ ჩვენ დაახლოებით მილიარდი ლარი გამოვყავით ბაგა-ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტისთვის.**

**ასევე, ჩვენ მილიარდი ლარი გამოვყავით საშუალო სკოლების განვითარებისთვის, რეაბილიტაციისა და მშენებლობისთვის. ეს პროცესი უკვე დაწყებულია. დაახლოებით 400 სკოლის კონტრაქტია გაფორმებული და მშენებლობა არის დაწყებული. ასეთივე მდგომარეობაა ბაგა-ბაღების მშენებლობის ნაწილშიც“,** – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

## „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილება შევიდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის სხდომა გაიმართა. მინისტრთა კაბინეტის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 8 საკითხი განიხილეს.**

განსახილველ საკითხებს შორის იყო საქართველოს კანონის პროექტი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**ცვლილებათა თანახმად, 2024-2025 სასწავლო წელს პირველ კლასში დარეგისტრირებას შეძლებენ ბავშვები, რომლებსაც 6 წელი 1 დეკემბრამდე შეუსრულდებათ. ამასთან, 2025-2026 სასწავლო წლიდან დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების შესაძლებლობა, მშობლის სურვილის შემთხვევაში, დამატებით მიეცემათ ბავშვებს, რომელთაც 6 წელი შეუსრულდებათ სასწავლო წლის დაწყების თარიღის მომდევნო დღიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. გადაწყვეტილების მიხედვით, ბავშვის მზაობისა და მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, 2024-2025 სასწავლო წლის დაწყების მომდევნო დღიდან 1 დეკემბრამდე დაბადებულ პირებს უფლება ექნებათ, გააკეთონ არჩევანი – გააგრძელონ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიღება სასკოლო მზაობის პროგრამაში ჩართვით ან დარეგისტრირდნენ პირველ კლასელებად. აღნიშნული მსგავსად გავრცელდება 2025-2026 სასწავლო წლის 16 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით დაბადებულ ბავშვებზე.**

როგორც მთავრობის სხდომაზე აღინიშნა, გადაწყვეტილების საფუძველი გახდა მოქალაქეთა არაერთი განცხადება, რომლებიც ითხოვენ საქართველოში დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების ასაკის მარეგულირებელი ნორმის გადახედვას.



## ისრაელი სრულად აკონტროლებს ღაზის საზღვარს

**ისრაელის თავდაცვის ძალებში აცხადებენ, რომ სრულად აკონტროლებენ ღაზის საზღვარს.**

ისრაელის თავდაცვის ძალების უმაღლესი სპიკერი დენიელ ჰაგარი ამბობს, რომ სამხედროებმა დაიბრუნეს სრული კონტროლი ღაზის სექტორის საზღვარზე.

**„ბოლო დღეს არცერთი ტერორისტი არ შემოსულა ღობიდან“,** – განაცხადა ჰაგარიმ.

ამასთან ერთად, ისრაელის თავდაცვის ძალების სპიკერმა აღნიშნა, რომ საბრძოლო საინჟინრო ჯარები მუშაობენ გალავნის მახლობლად მდებარე ტერიტორიების დანაღმვაზე. ისრაელის თავდაცვის ძალების თქმით, ტერორისტების მცირე რაოდენობა კვლავ იმალება ისრაელის ტერიტორიაზე.

## გმობენ ტერორისტთა ქმედებებს

**დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის, საფრანგეთის, იტალიისა და გერმანიის ლიდერებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც ცალსახად დაგმეს „ჰამასი“ და მისი შემზარავი ტერორისტული აქტები.**

ერთობლივი განცხადება ემანუელ მაკრონს, ოლაფ შოლცს, ჯორჯია მელონს, რიში სუნაკსა და ჯო ბაიდენს შორის სატელეფონო საუბრის შემდეგ გაკეთდა.

**„ჰამასის“ ტერორისტულ ქმედებებს არ აქვს გამართლება, ლეგიტიმაცია და საყოველთაოდ უნდა იყოს დაგმობილი. ჩვენი ქვეყნები მხარს დაუჭერენ ისრაელს მცდელობებში, დაიცვას საკუთარი თავი და ხალხი ასეთი სისასტიკისგან. ეს არ არის მომენტი ისრაელის მიმართ მტრულად განწყობილი მხარისთვის, გამოიყენოს ეს თავდასხმები უპირატესობის მოსაპოვებლად. ყველა ჩვენგანი ვაღიარებთ პალესტინელი ხალხის ლეგიტიმურ მისწრაფებებს და მხარს ვუჭერთ სამართლიანობისა და თავისუფლების თანაბარ ზომებს ისრაელელებისა და პალესტინელებისთვის. მაგრამ არ შეცდეთ: „ჰამასი“ არ წარმოადგენს ამ მისწრაფებებს და ის არაფერს სთავაზობს პალესტინელ ხალხს, მეტი ტერორისა და სისხლისღვრის გარდა“,** – აღნიშნულია განცხადებაში.

## კახა კალაძე:
## საქართველო ყოველთვის გვერდით უდგას მეგობარ ებრაელ ხალხს და მომავალშიც ასე გაგრძელდება

**„ჩვენ რაც შეგვიძლია, საქართველოს რა შესაძლებლობებიც აქვს, ყოველთვის გვერდით ვუდგავართ ჩვენს მეგობარ ებრაელ ხალხს და ყველაფერს გავაკეთებთ მომავალშიც მათ მხარდასაჭერად.**

**დამატებით დახმარებასთან დაკავშირებით, თუ რა გადაწყვეტილებაც იქნება მიღებული, ცნობილი გახდება ყველასთვის“,** – განაცხადა თბილისის მერმა.

## „გმადლობთ, მხარდაჭერისთვის!“



**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი საქართველოში ისრაელის ელჩს, ჰადას მეიცადს შეხვდა.** საქართველოს პარლამენტის ინფორმაციით, ელჩმა პარლამენტის თავმჯდომარეს ისრაელის სახელმწიფოს და ხალხის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

შალვა პაპუაშვილმა მწუხარება გამოხატა ტერორისტების აგრესიით გამოწვეული ადამიანური ტრაგედიების გამო და ელჩს კიდევ ერთხელ დაუდასტურა ისრაელის მიმართ სოლიდარობა. ჰადას მეიცადმა პარლამენტის თავმჯდომარეს დეტალურად გააცნო ღაზას სექტორიდან ისრაელზე თავდასხმის შედეგები და ისრაელის სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები. მხარეებმა ასევე ისაუბრეს აღნიშნული თავდასხმის გეოპოლიტიკურ კონტექსტსა და მსოფლიო მშვიდობაზე მის გავლენაზე.

# პანამის არხი შრება!..



**გვალვებმა წყლის დონე მკვეთრად შეამცირა პანამის არხში, რამაც სატრანზიტო შეზღუდვები გამოიწვია და გემების რიგი დააყენა. პანამის 82-კილომეტრიანი არხი საერთაშორისო საზღვაო ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი არტერიაა, რომელიც ცენტრალურ ამერიკაში პანამის ყელს კვეთს, და ატლანტისა და წყნარ ოკეანეებს აკავშირებს. არხი 1914 წელს გაიხსნა და, მისი გეგმაზომიერი გაფართოების შედეგად, მოძრაობის საშუალება მიეცა ნავთობის მსხვილ-გაბარიტიან ტანკერებს მაქსიმალური წარმადობით.**

**არხი 14 ათას გემს, ანუ, დაახლოებით, 280 მილიონ ტონა ტვირთს ატარებს წელიწადში, რის გამო, პანამის სახელმწიფო ორ მილიარდ დოლარამდე მოგებას ნახულობს. პანამის არხის ყველაზე დიდი მომხმარებელი ამერიკაა: ამერიკის საკონტეინერო გემების 40 პროცენტს, წელიწადში, 270-მდე მილიარდი დოლარის ტვირთი გადააქვს. არხის სხვა მსხვილ მომხმარებლებს შორისაა ჩილე, ჩინეთი, იაპონია და სამხრეთ კორეა.**

ვარაუდობენ, რომ ტროპიკული კლიმატისა და მაღალი ტენიანობის მქონე პანამაში, გვალვების მკვეთრი მატების მიზეზი, გლობალური დათბობაა. უხვი ნალექის გამო, არხსა და გატუნის მტკნარ-წყლიან ხელოვნურ ტბაში, წყლის დონე მაღალია ხოლმე, რაც პანამის არხის გამართულ მუშაობას უწყობს ხელს. წელს კი, ცხელმა და მშრალმა ზაფხულმა პანამის არხის წყლის დონე მკვეთრად დასწია, რის გამოც, არხის გამტარუნარიანობა მკვეთრად დაეცა. გემების შეყოვნების გამო კი, არხის ორივე მხარეს გემები ჩაიხერგა. 160 გემამდე დგას და, როგორც არხის ადმინისტრაცია იუწყება, ზოგს, სულ მცირე, 32 დღით მაინც მოუწევს დგომა.

შეზღუდვათა გამო, ტვირთბრუნვა განახევრდა, რაც საკმაოდ დიდ ეკონომიკურ პრობლემებს ქმნის. შესაბამისად, ტარიფებიც გაიზარდა. ამასობაში, კეთდება პროგნოზი, რომ გვალვები კიდევ დიდხანს გასტანს. უფრო მეტიც, ზოგი სინოპტიკოსი, მომავალში, პანამის არხის დაშრობასაც არ გამორიცხავს. საკითხის გადასაწყვეტად, პანამამ დახმარება ამერიკას სთხოვა, რომელიც თავადაა დაინტერესებული საკითხის მოგვარებაში. პრობლემის გადაჭრის რამდენიმე ვარიანტი განიხილება, პირველ რიგში, არხის შესავსებად მდინარეთა წყლების გამოყენება. ასევე, მოიაზრებენ ორი დიდი წყალსაცავის აშენებასაც. ამ პროექტების განხორციელებას კი, დიდი დრო და ფული სჭირდება, ანუ პრობლემა თვალის დახამხამებაში ვერ მოგვარდება. ამ დროს, არხის მფლობელებმა, ოპერატორებმა და გადამზიდმა კომპანიებმა, უკვე, 200 მილიონი დოლარის ზარალი ნახეს.

გაკეთდა განცხადება, რომ, თუ ვითარება 2024 წლის განმავლობაში არ შეიცვალა, პანამის არხი, შესაძლოა, დაიკეტოს, ან დიდი შეზღუდვებით იმუშაოს. გადამზიდი კორპორაციები, უკვე, სხვა გზებით ცდილობენ ტვირთების გადატანას. ალტერნატიული გზები უფრო გრძელია, რაც, გარდა დროისა, გადაზიდვის ფასებსაც ზრდის. პანამის არხის მიმდინარე პრობლემამ სხვა მსგავსი ინციდენტები გაგვახსენა: 2021 წელს, ეგვიპტეში, სუეცის არხი გაიჭედა, თუმცა, არა კლიმატური პირობების, არამედ ტანკერის ავარიის გამო. ორივე ინციდენტი მეტყველებს იმაზე თუ რაოდენ მოწყვლადია, ზოგადად, ტვირთბრუნვის ინდუსტრია და მასზე მიბმული ეკონომიკა. კამათი აღარ უნდა იმას, რომ გლობალურ კლიმატურ ცვლილებებს გარდაუვალი გავლენა ექნება მსოფლიო ეკონომიკაზე.

---



# კორსიკული ვენდეტა გადაიდო

**საფრანგეთის პრეზიდენტმა კუნძულ კორსიკის პარლამენტის სხდომაზე ისტორიული სიტყვა წარმოთქვა. ჩვენ გაბედული ნაბიჯი უნდა გადავდგათ და კორსიკას უფრო ფართო ავტონომია მივანიჭოთ, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მომართული საფრანგეთის წინააღმდეგ. კორსიკამ მშვიდობიანად უნდა იცხოვროს საფრანგეთის სახელწიფოს ფარგლებშიო. ემანუელ მაკრონის სიტყვას კორსიკის პარლამენტის წევრები მხურვალე ტაშით შეეგებნენ. აღინიშნა, რომ მისი გამოსვლა საფრანგეთის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება. და მართლაც, რაც კორსიკა არსებობს საფრანგეთის სახელწიფოს საზღვრებში, არცერთ ფრანგ მაღალჩინოსანს ასეთი გაბედული არაფერი უთქვამს.**

შეგახსენებთ, კორსიკა დიდი კუნძულია ხმელთაშუა ზღვაში, რომელიც 1768 წლიდან მოყოლებული, საფრანგეთის კუთვნილებას წარმოადგენს. სწორედ, მაშინ დაიბადა კორსიკაზე, ყველაზე ცნობილი კორსიკელი, ნაპოლეონ ბონაპარტე. თავად კორსიკელები არასოდეს არ თვლიდნენ თავს ფრანგებად და ყოველთვის თხოულობდნენ დამოუკიდებლობას საფრანგეთისგან. მათი ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის მეოცე საუკუნის დასაწყისში გამწვავდა. შეიქმნა კორსიკის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ფრონტი, რომელმაც, თავისი არსებობის მანძილზე, არაერთი ტეროროსტული აქტი მოაწყო. იმ ტერაქტებს ასეულობით ადამიანი შეეწირა. 2014 წელს, ეროვნულმა ფრონტმა უარი თქვა შეიარაღებულ ბრძოლაზე და, მოგვიანებით, პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდა. 2015 წლიდან, ეს პარტია კორსიკაზე ყველა არჩევნებს იგებს. კუნძულზე მშვიდობა და სტაბილურობა დამკვიდრდა. ალბათ, ასე გაგრძელდებოდა დიდხანს, რომ არა, ერთი ტრაგიკული ინციდენტი. 2022 წელს, საფრანგეთის ციხეში ეროვნული ფრონტის ცნობილი წევრი ივან კოლონა მოკლეს, რაც კორსიკელებმა კორსიკელი სეპარატისტების მიმართ ანგარიშსწორებად ჩათვალეს. კოლონა ტერორისტი კი იყო, მაგრამ კორსიკელები მას ეროვნულ გმირად მიიჩნევდნენ. თანამემამულის სიკვდილმა შეძრა კორსიკა, რამაც მასობრივი არეულობა გამოიწვია. ამბოხი მთელს კუნძულს მოედო და, ბოლოს, პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა. საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა სცადა არეულობა ჩაეხშო, მაგრამ კორსიკელები არ მშვიდდებოდნენ. ამიტომ, საფრანგეთის ადმინისტრაცია დათმობაზე წავიდა და კორსიკის მთავრობას ავტონომია შეჰპირდა. საფრანგეთის ხელმძღვანელობა მიხვდა, თუ კორსიკას ავტონომიას არ მისცემდა, შეიძლება, მთლად დაეკარგა კუნძული. სწორედ, ამიტომ ეწვია კორსიკას საფრანგეთის პრეზიდენტი. მაკრონმა ექვსი თვე მისცა თავის მთავრობასა და კორსიკის პოლიტიკურ სპექტრს ქვეყნის პარლამენტისთვის საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის წარსადგენად, მაგრამ, ხაზი გაუსვა, რომ ზოგიერთ საკითხში, საფრანგეთის მთავრობა დათმობაზე არ წავა. მას კორსიკელთა სურვილი საფრანგეთისა და კორსიკის კონფედერაციული თანაცხოვრების შესახებ ჰქონდა მხედველობაში.

მაკრონი თანახმაა, კორსიკას ფართი ავტონომია ჰქონდეს, არსებობდეს კორსიკული ენისა და კულტურის უპირატესობა, ჰქონდეთ ერთგვარი ეკონომიკური დამოუკიდებლობაც, მაგრამ საგარეო, თავდაცვის, უსაფრთხოებისა და ფინანსური პოლიტიკა საფრანგეთის სახელმწიფოს პრეროგატივა უნდა იყოს. საფრანგეთის პრეზიდენტის ისტორიულმა გამოსვლამ თავად საფრანგეთში არაერთგვაროვანი რეაქცია პოვა. მემარცხენეები და ლიბერალები მიესალმნენ მაკრონის წინადადებას. კონსერვატორები და ულტრამემარჯვენეები კი, მის იდეას სკეპტიკურად შეხვდნენ. ისინი შიშობენ, რომ, კორსიკის ავტონომიამ, შესაძლოა, დომინოს ეფექტი გამოიწვიოს, რადგან საფრანგეთის სხვა რეგიონებიც, მაგალითად, ბასკეთი და ბრეტანი, თხოულობენ ავტონომიას. ვნახოთ, როგორ წარიმართება კორსიკის ავტონომიის ჩამოყალიბება.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

POSTV

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ დასავლეთის გზის მე-4 საინვესტიციო პროექტის რუსთავიწითელი ხიდის და რუსთავი - სადახლოს საავტომობილო გზის (ლოტი 1-2) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე **პომპულ ქიარიმოვას** (ამჟამად ისმაილოვა) (პ/ნ 28001050614) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, მარნეულის მუნიციპალიტეტში, კურტლიარის საკრებულოს, სოფელ დიდ მუღანლოში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 8 079 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 83.07.08.106) ნაწილი - 5069 კვ.მ მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული თანასაკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 04 ოქტომბრის №1-1/387 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ დასავლეთის გზის მე-4 საინვესტიციო პროექტის რუსთავიწითელი ხიდის და რუსთავი - სადახლოს საავტომობილო გზის (ლოტი 1-2) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე **ნურუ მუსტაფაევის** (პ/ნ 28001062567) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდ მუღანლოში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 8 100 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 83.07.16.099) ნაწილი - 4 731 კვ. მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული თანასაკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 04 ოქტომბრის №1-1/387 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ დასავლეთის გზის მე-4 საინვესტიციო პროექტის რუსთავიწითელი ხიდის და რუსთავი - სადახლოს საავტომობილო გზის (ლოტი 1-2) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე **ვილაიად მამედოვის** (პ/ნ 28001004160) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფელ მეორე ქესალოში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების 14088 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 83.06.16.261) ნაწილი - 2403 კვ.მ მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული თანასაკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 04 ოქტომბრის №1-1/387 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ დასავლეთის გზის მე-4 საინვესტიციო პროექტის რუსთავიწითელი ხიდის და რუსთავი - სადახლოს საავტომობილო გზის (ლოტი 1-2) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე **ეხტიბარ მამედოვის** (პ/ნ 28001034460) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ II ქესალოში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მთლიანი მიწის ნაკვეთის (ს/კ 83.06.16.255) ფართობით 14046 კვ.მეტრის ნაწილი 7 338 კვ. მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული თანასაკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 04 ოქტომბრის №1-1/387 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ დასავლეთის გზის მე-4 საინვესტიციო პროექტის რუსთავიწითელი ხიდის და რუსთავი - სადახლოს საავტომობილო გზის (ლოტი 1-2) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე **აბულფატ ზამანოვის** (პ/ნ 28001014003) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, მარნეულის მუნიციპალიტეტის, სოფელ მეორე ქესალოში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6 441 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 83.06.15.068) ნაწილი - 1 924 კვ. მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული თანასაკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 04 ოქტომბრის №1-1/387 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ დასავლეთის გზის მე-4 საინვესტიციო პროექტის რუსთავიწითელი ხიდის და რუსთავი - სადახლოს საავტომობილო გზის (ლოტი 1-2) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე **ჯეირან მუსტაფაევის** (პ/ნ 28001038563) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული მარნეულის მუნიციპალიტეტში, კურტლიარის საკრებულოში, სოფელ დიდ მუღანლოში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 8080 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 83.07.08.104) ნაწილი - 5 758 კვ.მ მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული თანასაკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 04 ოქტომბრის №1-1/387 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის თსაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ დასავლეთის გზის მე-4 საინვესტიციო პროექტის რუსთავიწითელი ხიდის და რუსთავი - სადახლოს საავტომობილო გზის (ლოტი 1-2) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე **ამირხან ალიევის** (პ/ნ 28001051486) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, მარნეულის მუნიციპალიტეტის, სოფელ ალგეთში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების 13 479 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 83.03.16.459) ნაწილი - 6 619 კვ.მ მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული თანასაკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 04 ოქტომბრის №1-1/387 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

---

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ დასავლეთის გზის მე-4 საინვესტიციო პროექტის რუსთავიწითელი ხიდის და რუსთავი - სადახლოს საავტომობილო გზის (ლოტი 1-2) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე **სევდა მუსტაფაევას** (პ/ნ 28001038591) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდ მუღანლოში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 8 100 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 83.07.08.102) ნაწილი - 4 125 კვ.მ მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული თანასაკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 04 ოქტომბრის №1-1/387 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

### ოვალური ბურთი

# არავითარი გადადგომა



**საქართველოს რაგბის კავშირმა უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლევან მაისაშვილმა „ბორჯღალოსნთა“ მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა.**

„საქართველოს რაგბის კავშირი უარყოფს სხვადასხვა სოციალურ ქსელში გავრცელებულ ცრუ ინფორმაციას ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ლევან მაისაშვილის გადადგომის შესახებ.

**საქართველოს ნაკრები დღეს დაბრუნდა მსოფლიო თასიდან და რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა, გამგეობის და სამწვრთნელო შტაბის ჩართულობით უახლოეს დღეებში დაიწყებს ტურნირის არადამაკმაყოფილებელი შედეგების ანალიზს, მათი მიზეზისა და საპასუხო ნაბიჯების განსასაზღვრად. ეს პროცესი უახლოეს პერიოდში დასრულდება და შედეგებიც დაუყონებლივ გასაჯაროვდება“,** – ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა ავსტრალიასთან (15:35), ფიჯისთან (12:17) და უელსთან (19:43) წააგო, ხოლო პორტუგალიას დაუზავდა (18:18), შედეგად, C ჯგუფში 1 ფრით და 3 წაგებით მხოლოდ 3 ქულა დააგროვა და მეხუთე ადგილი დაიკავა. საქართველოს ნაკრები 2007, 2011, 2015 (2 მოგება), 2019 წლებში მინიმუმ ერთ გამარჯვებას ახერხებდა მსოფლიო თასზე, შესაბამისად, 2003 წლის შემდეგ პირველად მსოფლიოს ჩემპიონატი მოუგებლად დაასრულა.

### ევროთასებზე

# ქართველები თურქეთში

**სანამ ფიბა-ს ვაჟთა ტურნირები დაიწყებოდეს, აქტიურად მიმდინარეობს ქალთა ევროპის თასი და ევროლიგა, რომლებსაც ქართველი მსაჯები და კომისარი ემსახურებიან.**

ფიბა-მ მორიგი ტურის მატჩებზე მომსახურე ბრიგადები დანიშნა, რომელთა შემადგენლობაშიც **მიხეილ ვართანოვი, კირილე თვაური** და **მერაბ რატიშვილი** მოხვდნენ. ახალდაწყებულ სეზონში მეორედ ხდება, რომ ერთ მატჩზე 2 ჩვენებური მუშაობს. ასე იყო 20 სექტემბერს, როცა არბიტრმა კირილე თვაურმა და კომისარმა მერაბ რატიშვილმა ქალთა ევროლიგის საკვალიფიკაციო ტურნირის მატჩი სტამბოლში იმსაჯეს, ამჯერად კი თვაური-რატიშვილი ერთბაშად 2 შეხვედრას, ისევ თურქეთში, 11 და 12 ოქტომბერს მოემსახურებიან. რაც შეეხება მიხეილ ვართანოვს, იგი 11 ოქტომბერს ქალთა ევროპის თასის შეხვედრას სტამბოლში, ბეშიქთაშსა და სლოვაკურ სლავიას შორის იმსაჯებს. **მიხეილ ვართანოვი (მსაჯი). 11 ოქტომბერი.** ქალთა ევროპის თასი. სტამბოლი (თურქეთი). ბეშიქთაში (სტამბოლი, თურქეთი) – სლავია (ბანსკა ბისტრიცა, სლოვაკეთი) **კირილე თვაური (მსაჯი). 11 ოქტომბერი.** ქალთა ევროლიგა. სტამბოლი (თურქეთი). ფენერბაჰჩე (თურქეთი). – ასველი (ვილერბანი, საფრანგეთი) **12 ოქტომბერი.** ქალთა ევროპის თასი. ბურსა (თურქეთი). ბურსა (თურქეთი) – უნივერსიტასი (პეჩი, უნგრეთი) **მერაბ რატიშვილი (კომისარი).** 11 **ოქტომბერი.** ქალთა ევროლიგა. სტამბოლი (თურქეთი). ფენერბაჰჩე (თურქეთი) – ასველი (ვილერბანი, საფრანგეთი). **12 ოქტომბერი.** ქალთა ევროპის თასი. ბურსა (თურქეთი). ბურსა (თურქეთი) – უნივერსიტასი (პეჩი, უნგრეთი).

### ლეგიონერი

# კრიტიკაც, პატივიც



**იტალიელმა ჟურნალისტმა ალბერტო პოლვეროზიმ „ნაპოლი“ – „ფიორენტინას“ მატჩი შეაფასა. როგორც მან თქვა, ხვიჩა კვარაცხელიას და ვიქტორ ოსიმენს შორის კავშირი პრაქტიკულად მოიშალა.**

**„კვარაცხელიას პატარა ბიჭმა, კაიოდემ აჯობა, რასაც არ ველოდი! ოსიმენმა „ფიორენტინას“ ორი წარმოუდგენელი შეცდომით ისარგებლა, მაგრამ მთლიანობაში ის მილენკოვიჩმა გააკონტროლა, მოკლედ, „ნაპოლიმ“ ტაქტიკის გარდა, ინდივიდუალურ დუელებშიც აშკარად წააგო. პოლიტანოს შეცვლა აუხსნელია. რადგან ის მოედანზე ყველაზე სახიფათო კაცი იყო, კვარასა და ოსიმენზე მეტადაც კი. კვარა-ოსის კავშირი თითქმის აღარ მუშაობს. ახლა თამაში ინდივიდუალურია და არაფრამდე მივყავართ“,** – თქვა პოლვეროზიმ.

შეგახსენებთ, რომ „ნაპოლი“ 8 ტურის შემდეგ სერია A-ში 14 ქულით მეხუთე ადგილზეა.

ამასობაში ხვიჩა კვარაცხელია სერია A-ს 2022-2023 წლების სეზონის საუკეთესო გოლზეა ნომინირებული. იტალიის ფეხბურთელთა ასოციაცია (AIC) გულშემატკივრებში გამოკითხვას ატარებს, რომელიც 26 ნოემბრამდე გაგრძელდება. 10 ნომინანტშია კვარას გოლი, რომელიც მარტში ბერგამოს „ატალანტას“ გაუტანა. ხვიჩას კონკურენტები არიან: ნიკოლო ბარელა (ინტერი), ანტონიო კანდრევა (სალერნიტანა), ნიკოლო ფაჯოლი (იუვენტუსი), რემი უდენი (ლეჩე), მატია დესტრო (ემპოლი), ტეო ერნანდესი (მილანი), ტეუნ კუპმაინერსი (ატალანტა), კრისტიანო ბირაგი (ფიორენტინა) და დომენიკო ბერარდი (სასუოლო).

### მწვრთნელი

# გვარდიოლას 103-ე გამარჯვება



**„მანჩესტერ სიტის“ მთავარმა მწვრთნელმა პეპ გვარდიოლამ ჩემპიონთა ლიგის 161 მატჩში 103 მოგებას მიაღწია.**

„ქალაქელებმა“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მე-2 ტურის მატჩში „ლაიფციგი“ დაამარცხეს. გვარდიოლასთვის კარიერაში ეს 103-ე ჩემპიონთალიგური გამარჯვება გახლდათ. ამ მაჩვენებლით მან „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილ მთავარ მწვრთნელს, ალექს ფერგიუსონს გაუსწრო, რომელსაც ლიგის 102 მატჩი მოუგია.

ევროთასების ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე გამარჯვებების რაოდენობით მწვრთნელთა სიის ლიდერი კი კარლო ანჩელოტია, რომელიც მადრიდის „რეალს“ ხელმძღვანელობს. იტალიელ სპეციალისტს 193 მატჩში 109 მოგება აქვს. გვარდიოლას ხელმძღვანელობით „მანჩესტერ სიტიმ“ გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგა მოიგო.



# რკინიგზელებს პროფესიული დღე მიულოცეს

**ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა საქართველოს რკინიგზელებს პროფესიული დღე მიულოცა.**

**„10 ოქტომბერი რკინიგზელის დღეა. მინდა, მივულოცო საქართველოს რკინიგზის ყველა მოქმედ და ყოფილ თანამშრომელს პროფესიული დღე, ვუსურვო ჯანმრთელობა და ვუთხრა მადლობა გაწეული საქმიანობისთვის.**

**ზუსტად 151 წლის წინ ფოთიდან თბილისის მიმართულებით პირველი სატვირთო-სამგზავრო მატარებელი დაიძრა. ამ დღიდან მოყოლებული საქართველოს რკინიგზას თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში – 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, რკინიგზით 21.8%-ით მეტი ტვირთის ტრანსპორტირება განხორციელდა. განსაკუთრებით მზარდია დინამიკა საკონტეინერო გადაზიდვებში – 2022 წელს ეს მაჩვენებელი – 19.1%-ით, 2023 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში კი 17.8%-ით გაიზარდა.**





**ტვირთნაკადების ზრდის ფონზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სარკინიგზო ინფრასტრუქტურის განვითარება. 2024 წლისთვის იგეგმება საქართველოს რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტის დასრულება, რის შედეგადაც შემცირდება ტრანსპორტირების დრო და ხარჯები, გაიზრდება სარკინიგზო მიმოსვლის უსაფრთხოების დონე, ხოლო წლიური სატვირთო გამტარუნარიანობა 28 მლნ ტონიდან 48 მლნ ტონამდე გაიზრდება.**

**გარდა ამისა, მიმდინარე წელს ჩვენ დავიწყეთ მნიშვნელოვანი რეფორმა სარკინიგზო ტრანსპორტის დარგში, რაც გულისხმობს ამ დარგში თანამედროვე, ევროპული ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს ფორმირებას, რომლის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდება სარკინიგზო ტრანსპორტის ეფექტურობა და კონკურენტუნარიანობა.**

**რკინიგზის წარმატებისთვის განსაკუთრებული მადლობა, მინდა, ვუთხრა კომპანიის 11 000-ზე მეტ თანამშრომელს, რომლებიც ყოველდღე 24 საათის განმავლობაში მუშაობენ საქართველოს რკინიგზის განვითარებისთვის და ამით თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციის – სატრანსპორტო დერეფნის გამართულ ფუნქციონირებაში,“** – ნათქვამია მილოცვაში.

### საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოსავლეთ დასავლეთის გზის მე-4 საინვესტიციო პროექტის რუსთავიწითელი ხიდის და რუსთავი - სადახლოს საავტომობილო გზის (ლოტი 1-2) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე **ელნარ ბაირამოვის** (პ/ნ 28001102165) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული, მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდ მუღანლოში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 8 098 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის (ს/კ 83.07.08.082) ნაწილი - 2 123 კვ.მ მეტრი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების ნებაყოფლობით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული თანასაკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებული იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 04 ოქტომბრის №1-1/387 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე.

ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

# უჩივის ცილისწამებისთვის





**პარლამენტის ყოფილი წევრი ირაკლი სესიაშვილი ცილისმწამებლური კამპანიის გავრცელებისთვის „ნაციონალური მოძრაობის წევრს“, ირაკლი ნადირაძეს გენერალურ პროკურატურაში უჩივის.**

ვაკის პარკის ტრაგედიასთან მისი სახელის დაკავშირებას ირაკლი სესიაშვილი რეპუტაციის შელახვის მცდელობად აფასებს.

**„ჩემი სახელი და გვარი დააკავშირეს ვაკის პარკის ტრაგედიასთან. სამწუხაროდ, ანგელოზი ბავშვი გარდაიცვალა და ჩემთვის ჩემი სახელის თუნდაც ირიბად დაკავშირება იყო შოკისმომგვრელი. უნდა მივმართო გენერალურ პროკურატურას. ირაკლი ნადირაძემ, ამ პოლიტიკურმა კლოუნმა მტკიცებით ფორმაში განაცხადა, თითქოს მე რამე კავშირი მქონდეს რაღაც კომპანიასთან. ჩემი მოთხოვნა არის, რომ მაქსიმალურად დეტალურად იქნეს შესწავლილი საკითხი. არანაირ მიზანს არ წარმოადგენს მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ჩემთვის მთავარია, რომ საზოგადოებამ გაიგოს სიმართლე. სიმართლე არის ერთი, მე არანაირი კავშირი არ მქონია და ვერც მექნებოდა“,** – განაცხადა სესიაშვილმა.

# ტყუილს მოკლე ფეხები აქვს,

## ანუ მშენებარე კი არა, მიტოვებული სახლის კედელი ჩამოიშალა

**დედაქალაქის მერის, კახა კალაძის განცხადებით, მარიჯანის ქუჩაზე მდებარე ნაგებობა, საიდანაც ძლიერი ქარის შედეგად კედელი ჩამოიშალა, არ არის მიმდინარე მშენებლობა.**



როგორც მან მედიასთან საუბრისას აღნიშნა, ობიექტი კომპანია „ცენტრ პოინტის“ მიერ დაუსრულებელი პროექტია.

**„გუშინ ინფორმაცია არასწორად გავრცელდა, თითქოს ეს იყო მშენებარე ობიექტი. ეს ძალიან დიდი ტყუილია. იქ არანაირი მშენებარე ობიექტი არ ყოფილა. ეს არის კომპანია „ცენტრ პოინტის“ ძველი აშენებული ნაგებობა, რომელიც ეკუთვნის ამ კომპანიის მიერ დაზარალებულ ოჯახებს. როგორც იცით, ჩვენ გვერდით დავუდექით ამ გაუბედურებულ ადამიანებს და მოვაგვარეთ პრობლემა, რომელიც, ათეული წლებია, არსებობდა. ეს კონკრეტული მშენებლობა დაუსრულებელი და გაჩერებულია. მოგვიწევს აღნიშნული შენობის სრული დემონტაჟი, რომ იქ უკვე აშენდეს თანამედროვე შენობა-ნაგებობა და ადამიანებს მიეცეთ შესაძლებლობა, იცხოვრონ ნორმალურ პირობებში“,** – აღნიშნა თბილისის მერმა.

# ინსპექტორის გულგრილობას პატიმრის სიცოცხლე შეეწირა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე, სამსახურებრივი გულგრილობისთვის დაწესებულების ინსპექტორ-კონტროლიორი იქნა მხილებული. ინფორმაციას სპეციალური საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

**„გამოძიებით დადგინდა, რომ 2023 წლის პირველ აგვისტოს №10-ე პენიტენციურ დაწესებულებაში ინსპექტორ-კონტროლიორმა, რომელსაც პატიმარ გ.გ.-ს სათანადო მეთვალყურეობა ევალებოდა, არაჯეროვნად შეასრულა სამსახურებრივი მოვალეობა და არ გადაამოწმა საკნის საამბანო ოთახში მყოფი მსჯავრდებული. პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის სამსახურებრივი გულგრილობის შედეგად, უმეთვალყურეოდ დარჩენილმა პატიმარმა საამბანოში შეტანილი ზონრის გამოყენებით სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.**

**სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, პენიტენციური სამსახურის ხელშეწყობით, ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარება უზრუნველყო. კერძოდ, გამოიკითხა 35 პირი, დათვალიერდა №10 პენიტენციური დაწესებულება და შემთხვევის ადგილი, საიდანაც ამოღებული იქნა ნივთიერი მტკიცებულებები, ჩატარდა კომპლექსური ქიმიური, ბიოლოგიური, სასამართლო-სამედიცინო, მიკრონაწილაკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზები, ასევე მოპოვებული იქნა ინციდენტის ამსახველი ვიდეოჩანაწერები“,** – აღნიშნულია ინფორმაციაში.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ცნობით, გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე საქართველოს პროკურატურამ სამსახურებრივი გულგრილობისთვის სამართალდამცავს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარუდგინა. დანაშაული ორიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ოქტომბრის მეორე ნახევრიდან გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია დაიწყება

**ქვეყნის მასშტაბით, სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ოქტომბრის მეორე ნახევრიდან დაიწყება. იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საქართველომ 200 000 დოზა Abbott Biologicals B.V.-ის წარმოების, ოთხკომპონენტიანი ვაქცინა უკვე შეიძინა, რომელიც ერთ-ერთია ჯანმოს მიერ რეკომენდებულ ვაქცინებს შორის,** – ამის შესახებ ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია რისკ ჯგუფებს, ვისაც დაავადების გართულების მომატებული რისკი აქვს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, უფასოდ ჩაუტარდებათ. 2023-2024 წლების გრიპის სეზონისათვის ქვეყანაში გრიპის ვაქცინაციის მიზნით მაღალი რისკის ჯგუფებად განისაზღვრა: დიაბეტის მქონე პირები; დიალიზზე მყოფი პირები; C ჰეპატიტის მქონე პირები (მხოლოდ მკურნალობაზე მყოფნი); აივ ინფექცია/შიდსის მქონე პირები; ორგანოგადანერგილი და მუკოვისციდოზის დაავადების მქონე პირები; აგრეთვე, 60 წლის და უფროსი ასაკის ხანდაზმული პირები; ორსულები; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლები) პედაგოგები; ბავშვთა (მ.შ. მცირე საოჯახო ტიპის) და მოხუცთა თავშესაფრების ბენეფიციარები და მათი მომვლელი პერსონალი; სავალდებულო ვაქცინაციას დაქვემდებარებული მედპერსონალი და სხვ.

## სანთელი



**მეუღლე სიმონ ზაქარაია, შვილები პაატა, ხათუნა, შვილიშვილები თამარ, ქეთევან, მარიამ, თეოდოსია, ირინა, ლუდმილა, ელენე, ლიანა, დიანა, მილა, რძალი ლიანა ფარცვანია, ძმა კოტე დიხამინჯია, რძლები ჯულიეტა შამუგია, ნინო დგებუაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

# ლუდმილა სეითის ასული დიხამინჯია

**დაკრძალვა 11 X, 14 სთ. თბილისში, გამოსვენება წმინდა ნიკოლოზის ტაძრიდან (ხეთაგუროვის ქ. №4, ჩუღურეთი).**

---

# ლუდმილა დიხამინჯია-ზაქარაია

**გარდაიცვალა მედიცინის დამსახურებული მუშაკი, აფხაზეთიდან დევნილი დიდებული ქალბატონი ლუდმილა სეითის ასული დიხამინჯია-ზაქარაია, რომელიც აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში 1945 წელს დაიბადა.**

**საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები ლენინგრადის სამედიცინო ინსტიტუტში და მიიღო ექიმ-თერაპევტის კვალიფიკაცია. დიპლომის აღებისთანავე დაბრუნდა მშობლიურ აფხაზეთში და მუშაობა დაიწყო გაგრის ერთ-ერთ სანატორიუმში. მალე ოჯახი შექმნა და თავისი ბედი დაუკავშირა ღირსეულ ახალგაზრდა მეცნიერს, მწერალსა და სახელმწიფო მოღვაწეს სიმონ ზაქარაიას. ლუდმილა დიხამინჯია გაგრიდან სოხუმის პირველი პოლიკლინიკის სახელოვან კოლექტივს შეუერთდა და დიდხანს მუშაობდა წამყვან თერაპევტად. პარალელურად იყო სოხუმის „ლეჩკომბინატის“ ექიმი.**

**იძულებით სოხუმის დატოვების შემდეგ ლუდმილა დიხამინჯია მუშაობდა თბილისში განთავსებულ სოხუმის ცნობილ სამედიცინო კლინიკაში. ბოლო წლები თავის შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატები გაატარა. რამდენიმე დღის წინათ ამერიკაში აღესრულა და იქიდან საქართველოში ჩამოასვენეს.**

**ლუდმილა დიხამინჯია იყო ყოველმხრივ შემკული კოლხი ქალბატონი, ბრწყინვალე მკურნალი, დედა და ბებია. მისი სახელი და ხსოვნა მარად იცოცხლებს ჩვენს გულებში.**

**მეგობრები**

---

**სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის ადმინისტრაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი, თეორიული ფიზიკის სპეციალისტი, ცნობილი ფიზიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ინსტიტუტის ყოფილი მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, 30-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, აფხაზეთის ომის მონაწილე**

# ვლადიმერ (თამაზ) კირცხალია

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**სამოქალაქო პანაშვიდი: 11 X;**

**მისამართი: თბილისი, ალ. იოსელიანის 96 ( სარიტუალო დარბაზი);**

**გამოსვენება: 12 X, 14 სთ. თბილისი, ალ. იოსელიანის 96 (სარიტუალო დარბაზი).**

# აშენდება ციხე 150 მსჯავრდებულზე

**საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, 150 მსჯავრდებულზე გათვლილი დაწესებულების მშენებლობა 2024 წელს დასრულდება,** – ამის შესახებ ინფორმაციას იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს.

საქართველოსთვის სრულიად ახალი ტიპის დაწესებულება იძლევა ციხის უფრო მეტად ეფექტიანი მართვის შესაძლებლობას. რუსთავის ახალ პენიტენციურ დაწესებულებაში იქნება თანამედროვე ტიპის საკნები, სასადილო, მაღაზია, სპორტული ინფრასტრუქტურა, რესოციალიზაციის სივრცეები, გაუმჯობესებული პირობები თანამშრომლებისთვის და უსაფრთხოების უახლესი სისტემები. სიმბოლური კაფსულა იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ და სპეციალური პენიტენციური სამსახურის ხელმძღვანელმა ნიკა ცხვარაშვილმა თანამშრომლებთან ერთად ჩადეს.

# ქართული საგალობლების ფესტივალი



**საჩხერემ ქართული საგალობლების ფესტივალს უმასპინძლა. ღონისძიებაში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ოცდაათზე მეტი გუნდი მონაწილეობდა.**

ფესტივალის მიზანია უძველესი ქართული კანონიკური საგალობლების დაცვა და ღვთისმსახურებაში დამკვიდრების ხელშეწყობა.

ქართული საგალობლების ფესტივალი ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიაში ხატის, „ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო“ მოგზაურობას დაემთხვა. სასულიერო პირებმა ფესტივალის გახსნასთან დაკავშირებით პარაკლისი გადაიხადეს. მეუფე დანიელმა ფესტივალის მონაწილეები დალოცა და ხატის მოგზაურობისა და „ქართული საგალობლების ფესტივალის“ მნიშვნელობაზე ისაუბრა. ფესტივალი პირველად 25 წლის წინ გაიმართა - მისი მხარდამჭერია საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია.

# „შემოდგომის თბილისი“ 30 წლისაა

**„შემოდგომის თბილისი“ – ასე ჰქვია ფესტივალს, რომელმაც სტარტი 1993 წელს ჯანსუღ კახიძის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის, თბილისის სიმფონიური ორკესტრისა და მერიის მხარდაჭერით აიღო.**

წლევანდელი ფესტივალი სიმბოლურად თბილისის სიმფონიური ორკესტრის 30 წლისთავს მიეძღვნა. „შემოდგომის თბილისი“ 21 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართება.



# „სტეინვეის“ როიალების მიწოდება გრძელდება



**კონსერვატორიისთვის „სტეინვეის“ როიალების მიწოდება გრძელდება. კომპანია „სტეინვეი ენდ სანსთან“ თანამშრომლობა კულტურის სამინისტრომ 2021 წელს დაიწყო და უკვე როიალების მეოთხე პარტია მიიღო.**

ინსტრუმენტების დეფიციტი სახელმწიფო კონსერვატორიისთვის წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი პრობლემა იყო. კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა მისი მოგვარების აუცილებლობის შესახებ 2021 წელს განაცხადა და ამავე წელს დაიწყო აქტიური მოლაპარაკებები კომპანია „სტეინვეისთან“.

# ბრიტანეთში ბადრი პატარკაციშვილის ქვრივის სახლი დაიწვა



**დიდ ბრიტანეთში, ქართველი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის ქვრივის, ინა გუდავაძის ძვირადღირებულ სახლში ხანძარი გაჩნდა და სრულად დაიწვა.**

როგორც DailyMaill წერს სახლი 10 მილიონ ფუნტ სტერლინგად(12 მილიონ დოლარზე მეტი) იყო შეფასებული და ის მასშტაბური განახლების სამუშაოების დასრულებიდან ერთი დღის შემდეგ, 23 სექტემბერს თითქმის სრულად დაიწვა.

# 2023 წლის ნობელიანტები ქიმიასა და ფიზიკაში




**ნობელის პრემია ქიმიის დარგში ამერიკელებს მუნგი ბავენდის, ლუის ბრიუსსა და ალექსეი ეკიმოვს გადაეცათ.**

ჯილდო მათ „კვანტური წერტილების შექმნის მეთოდის შემუშავებისთვის“ მიიღეს. კვანტური წერტილები იმდენად პატარა ნანონაწილაკებია, რომ მათ ქცევაში კვანტური ეფექტები ვლინდება. მათ ელექტრონიკაში გამოიყენებენ, სადაც ეკრანებში ტრადიციული მანათობელი ნივთიერების – ლუმინოფორის ჩანაცვლება შეუძლიათ.

* * *



**ნობელის პრემია ფიზიკაში სამ მეცნიერს – პიერ აგოსტინის, ფერენც კრაუსსა და ანა ლ’უიეს გადაეცათ ექსპერიმენტებისთვის, რომლებმაც კაცობრიობას ატომსა და მოლეკულებში არსებულ ელექტრონთა სამყაროს კვლევის ახალი ხელსაწყოები მისცა.**

ნობელის პრემიის კომიტეტის განმარტებით, 2001 წელს, მათ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩაატარეს წარმატებული ექსპერიმენტები, რომლებმაც ფაქტობრივად საფუძველი დაუდო ახალ სამეცნიერო მიმართულებას – ატოსეკუნდურ ფიზიკას.

# ასტრონავტს აცვია ...პრადა



**2025 წლის Nasa-ს მთვარის მისიისთვის სკაფანდრებს Prada დაამზადებს.**

მოდის იტალიური სახლი ამაზე კერძო კომპანია Axiom Space-თან ერთად იმუშავებს. ერთობლივ განცხადებაში აღნიშნულია, რომ Prada პროექტს სხვადასხვა კომპოზიტურ ქსოვილთან მუშაობის გამოცდილებას შესძენს. Prada-ს სკაფანდრებს მისია Artemis 3-ის ასტრონავტები მოირგებენ, რომლებიც დედამიწის ბუნებრივი თანამგზავრის ზედაპირზე გაივლიან.

# საჰაერო ბურთების ფესტივალი

**აშშ-ში, ქალაქ ალბუკერკეში საჰაერო ბურთების ტრადიციული ფესტივალი Balloon Fiesta გაიმართა.** ფესტივალში მონაწილეობა 600-ზე მეტმა ბურთმა მიიღო, რომლებსაც 700 პილოტი მართავდა. Balloon Fiesta 1972 წლიდან იმართება.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია გაბრიჭიძე
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 12 ოქტომბერს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6793; ევრო - 2.8393;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2867;
100 რუბლი - 2.6324; თურქული ლირა - 0.0963;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5680;
1000 სომხური დრამი - 6.7336

**ამინდი 11 ოქტომბრისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +5, | დღე +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | 0, | დღე +13 |
| დასავლეთი საქართველო: | | | |
| ბარი - | ღამე | +7, | დღე +16 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +2, | დღე +12 |
| თბილისი: | ღამე | +9, | დღე +17 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge